ალიყური მყვირალა სენსაციების მოტრფიალეთ

გაუფრთხილდით ეროვნული მეცნიერების სახელს

იხ. 6-7 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბევრის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 12 აპრილი. 2018 წ. №74 (8475), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ეხმაურებიან ჩვენს პუბლიკაციას

დღევანდელი ქართველობა ბედნიერ საქართველოს უნდა მოვესწროთ!

ბიძინა ივანიშვილი მიმართავს ამომრჩეველს

ოღონდ კაცი არ მოკლა, ოღონდ ნარკოტიკის სიყვარული არ გამოამჟღავნო და... მიდი, იბაირამე!

3

ცხრაპარასკევა ტრამპი და მდუმარე პუტინი

„ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან ამ დროისთვის იმაზე უარესია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მათ შორის, „ცივი ომის“ დროსაც კი. ამისთვის მიზეზი არ არსებობს. რუსეთს ჩვენი დახმარება სჭირდება ეკონომიკაში. ეს იოლი იქნებოდა გასაკეთებლად, ჩვენც ეს გვჭირდება, რომ ყველა ქვეყანამ ერთად იმუშაოს. იქნებ შევწყვიტოთ რბოლა შეიარაღებაში?“, — წერს დონალდ ტრამპი თავის Twitter გვერდზე.

მანამდე იგი წერდა, რომ რუსეთს ურჩევნია მზად იყოს სირიისკენ მიმართული რაკეტების ჩამოსაგდებად. მისივე თქმით, „რუსეთს ურჩევნია მოემზადოს, რადგან რაკეტები იქნებიან კარგები, ახლები და „ჭკვიანები“.

ცხრაპარასკევა ტრამპი ყველა მხრიდან უბერავს, დაბნეული პუტინი კი დუმს!..

ამერიკული ანტისარაკეტო სისტემა რუსულ 200-ტონიან „სარმატთან“ შედარებით ჯართია!



მხოლოდ მოლაპარაკება — ისე, როგორც ამის შესახებ არის აღნიშნული კვირიკაშვილის წერილში, არის ერთადერთი სწორი და რეალური გზა საქართველოსთვის.

5

ვისაც გუნდი არ მოსწონს, რასაკვირველია, წასვლა თავისუფალია!

ვისაც გუნდი არ მოსწონს, შეუთავსებლობა და შეუთანხმებლობა აქვს, რასაკვირველია, წასვლა თავისუფალია, — ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ მმართველ გუნდში არსებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით განაცხადა.

— თუ თამაშის წესების შეთანხმება პროცესებს ხელს შეუწყობს, ამას მხარს დავუჭერ. შეიძლება, ამას ქცევის კოდექსი დავარქვათ. კერძოდ, გარკვეული შეთანხმება ურთიერთობის ნორმების დაცვაზე. ეს კარგი თემაა და იმ მიღწევიდან უკან არ უნდა დავიხიოთ, რასაც საზოგადოების სხვადასხვა აზრის გაცნობა ჰქვია. რაღაც საერთო წესები უნდა იყოს, რამაც გუნდი არ უნდა დააზიანოს, რადგან ეს ქვეყნისთვის კარგი არ არის, ქვეყანას სტრესები არ აკლია. იმდენად დაძაბული სიტუაცია არ არის, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, მაგრამ მუშაობაა საჭირო, — ამბობს ვოლსკი.

მისივე თქმით, ადამიანები, რომლებიც კრიტიკას გამოთქვამენ ან პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ, უცებ, იმ წუთშივე მოიაზრებიან, როგორც რომელიმე გუნდის წევრები, თუმცა ერთიანობა ისაა, რაც დეკლარირებულია.

თბილისიდან რუსთავში – მეტროთი თუ ტრამვაით?

11

26 მაისს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ღირსშესანიშნაობები საქართველოს დროშის ფერებით განათდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის ინფორმაციით, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები საქართველოს დროშის ფერებით განათდება.

მისივე თქმით, მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად, საქართველოსთან მეგობრობის სიმბოლოდ განთავსდება მემორიალური დაფები, ხოლო სასწავლებლებში გაიხსნება ქართული კუთხეები. ვილნიუსში კი საქართველოს სახელობის ქუჩა გაიხსნება.

ყველა ერი, რომელსაც აქვს მომავალი, ეთაყვანება იმ ადამიანებს, ვინც შესაძლებელი გახადა დღევანდელი დღე!

საქართველოს პრეზიდენტმა, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ოფიციალური ვიზიტისას, აბუ დაბიში გვირგვინით შეამკო ვაჰად ალ კარამას სამხედრო მემორიალი და სამშობლოსათვის თავგანწირულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

გიორგი მარგველაშვილს მასპინძელმა მხარემ მემორიალი დაათვალიერებინა და მისი აგების ისტორია გააცნო. საქართველოს პრეზიდენტმა მემორიალის საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა: **— „დიდება სამშობლოსათვის და ხალხისათვის დაცემულ გმირებს. ყველა ერი, რომელსაც აქვს მომავალი, ეთაყვანება იმ ადამიანებს, ვინც შესაძლებელი გახადა დღევანდელი დღე! მათ სახელებს შთამომავლობა არ დაივიწყებს“.**

ეს მშვენიერი მეჩეთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ...

საქართველოს პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ოფიციალური ვიზიტის კულტურული პროგრამის ფარგლებში, ემირატების ღირსშესანიშნაობები და მუზეუმი დაათვალიერეს.

გიორგი მარგველაშვილმა და მაკა ჩიჩუამ დუბაიში, მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა „ბურჯი ხალიფა“ და შენობის ყველაზე მაღალი წერტილიდან დუბაის ხედები დაათვალიერეს.

აბუ დაბიში კი პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ შეიხ ზაედის მეჩეთი მოინახულეს, რომელიც გამორჩეული არქიტექტურის მქონე, მრავალფუნქციური, 82 გუმბათიანი შენობაა და აერთიანებს ისლამური სამყაროს კულტურული მრავალფეროვნებით არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიულ და თანამედროვე ღირებულებებს.

შეიხ ზაიდი გრანდის მეჩეთის სასწავლო და კვლევითი ცენტრი საგანმანათლებლო, კულტურული და ტურისტული მიმართულებით პროგრამებს ახორციელებს. ჩრდილოეთ მინარეთში მდებარეობს ასევე, ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია კლასიკური წიგნები და იშვიათი პუბლიკაციები.

საქართველოს პრეზიდენტმა შეიხ ზაიდის მეჩეთში საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა: — „აღფრთოვანებული ვარ გრანდიოზული, დახვეწილი და დიდი სიყვარულით ნაშენები თქვენი მშვენიერი საღლოცავით. ეს მშვენიერი მეჩეთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ თანამედროვეობაშიც შესაძლებელია შეიქმნას ეპოქალური არქიტექტურის ნიმუშები“.

კახა კალაძე იერუსალიმის მერს შეხვდა

თბილისის მერი კახა კალაძე ქალაქ იერუსალიმის მერს ნირ ბარკატის შეხვდა. შეხვედრაზე ხაზი ორმხრივი თანამშრომლობის პოზიტიურ დინამიკას, 25-წლიან დიპლომატიურ ურთიერთობებსა და სხვადასხვა სფეროში გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას გაესვა.

იერუსალიმის მერმა კახა კალაძეს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და მზაობა გამოთქვა, ქალაქებს შორის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას შეუწყოს ხელი. მისი თქმით, საქართველოს ჰყავს ნამდვილი მეგობარი ისრაელის სახით და იმ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარება მნიშვნელოვანია, რაც ორივე ქვეყნის ხალხებს შორის ისტორიულად არსებობს.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ტურიზმის სექტორში თანამშრომლობის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური და ბიზნესურთიერთობების კუთხით არსებულ პოტენციალზე. მხარეებმა გამოთქვეს სურვილი, ახლო მომავალში თბილისში ერთობლივი ბიზნესფორუმი გაიმართოს.

კახა კალაძემ იერუსალიმის მერს გულთბილი მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და ახალი ტექნოლოგიებისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების მიმართულებით იერუსალიმის მუნიციპალიტეტის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

თბილისის მერი ისრაელის სახელმწიფოში სამუშაო ვიზიტით საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად იმყოფება.

ანი მიროტაძე: იქნება მორიგი შეხვედრა ივანიშვილის მონაწილეობით და...

„ეროვნული ფორუმის“ წევრი, „ქართული ოცნების“ ყოფილი წარმომადგენელი ანი მიროტაძე, საპარლამენტო უმრავლესობას შორის დაპირისპირებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ნინია კაკაბაძის არჩევა მმართველ გუნდში ამხელა აჟიოტაჟს და განხეთქილებას ვერ მოიტანდა და ეს მხოლოდ მიზეზია. მიროტაძე არ გამორიცხავს, რომ საპარლამენტო უმრავლესობის მორიგ შემდგომ შეხვედრას ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც დაესწრება.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ბიძინა ივანიშვილი მიიღებს მონაწილეობას, სადაც დასასჯელს დასჯიან, ვისთვისაც თითი დასაქნევი იქნება, თითს დაუქნევენ და შესაბამისად, მერე გადაწყდება, როგორ უნდა გაგრძელდეს თანაცხოვრება უახლოეს მომავალში მაინც,“ — განაცხადა მიროტაძემ.

დისციპლინა დაირღვა და არაკორექტულ განცხადებებს პრემიერიც დაეთანხმა

ცალკეული დეპუტატების მხრიდან **პარტიული დისციპლინის დარღვევა კვლავ გრძელდება, მაგრამ ყველას ვთხოვ, ნუ აყვებიან ცალკეულ განცხადებებს** — აცხადებს მამუკა მდინარაძე და ამბობს, რომ უახლოეს დღეებში ყველაფერი დალაგდება. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე აცხადებს, რომ პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მათ შორის პრემიერი ეთანხმება შეფასებას, რომ რიგი დეპუტატების მხრიდან პარტიული დისციპლინის დარღვევას აქვს ადგილი. ამ კონტექსტში მდინარაძემ ნუკრი ქანთარია, დავით ჭიჭინაძე და გედევან ფოფხაძე დაასახელა.

მაია ცქიტიშვილმა მოადგილედ ილია ბეგიაშვილი დანიშნა

რეგიონული **განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის კიდევ ერთ მოადგილედ ილია ბეგიაშვილი დაინიშნა. ბეგიაშვილი მთავრობის კანცელარიაში ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. 2014 წლამდე კი ბიზნეს-სექტორში საქმიანობდა.**

ინფრასტრუქტურის მინისტრის მაია ცქიტიშვილის პირველ მოადგილედ 4 აპრილს ირაკლი ქარსელაძე დაინიშნა, რომელიც გზების დეპარტამენტის უფროსის პოსტსაც ითავსებს. ქარსელაძე „თანაინვესტირების ფონდის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

პეტიცია : „არა „გაზპრომ მედიის“ შვილეულ NTV PLUS-ს!“

— ამ მოთხოვნით manifest.ge-ზე პეტიცია შეიქმნა. პეტიცია მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ინიციატივით ვრცელდება და მისი ავტორები „გაზპრომ მედიის“ შვილეული კომპანიის საქართველოში შემოსვლას აპროტესტებენ. პეტიციის ადრესატები არიან საქართველოს მთავრობა, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

„იქიდან გამომდინარე, რომ „ენ ტევე პლუსის“ მიერ რეგისტრაციის გავლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის ჰიბრიდული ომი არათუ არ განელდა, ახალ, საშიშ ეტაპზეა გადასული, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ჰიბრიდული ომის საფრთხეებზე აღნიშნულია სუსის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში, ასევე იმის გამო, რომ „გაზპრომი“ შეტანილია აშშ-ის მიერ სანქციადადებული კომპანიების სიაში.

მივმართავთ საქართველოს მთავრობას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას, გაითვალისწინონ ახალი რეალობები და გამოწვევები და გაუუქმონ რეგისტრაცია „ენ ტევე პლუსს“, როგორც კომპანიას, რომლის საქმიანობა მიმართულია საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ“, — ნათქვამია პეტიციაში.

გარევაჭრობასთან ჯარიმებით ბრძოლა ახალ ეტაპზე გადადის

გარევაჭრობასთან **დაკავშირებით დედაქალაქის მერია რეგულაციების გამკაცრებას გეგმავს. ჯერჯერობით მოვაჭრეებთან ბრძოლამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მართალია, გარევაჭრობის მასშტაბები შემცირდა, მაგრამ მისი აღმოფხვრა ვერაფრით ხერხდება. მერიაში იმედოვნებენ, რომ ჯარიმების გაზრდით საკითხი გადაიჭრება.**

თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, რომ კანონმდებლობის შეცვლა მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარეობდა. **გიორგი ბაგრატიონის** თქმით, გარევაჭრობის შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე ზედამხედველობის სამსახურის ცხელ ხაზზე უამრავი ზარი ხორციელდება.

„ერთწლიანმა პრაქტიკამ გვანახა ის, რომ ამ მიმართულებით საჭირო სხვადასხვა სახის ცვლილებები. კანონმდებლობით გარევაჭრობა ერთი ჩანთის პრინციპით იყო დარეგულირებული. ახლა ჩვენ ეს დავყავით ორ ნაწილად. იმ შემთხვევაში თუ სატრანსპორტო ან მასზე მისაბმელი საშუალების ან სხვა მექანიკურად მოძრავი საშუალების გამოყენებით მოხდება გარევაჭრობა, ჯარიმა დაახლოებით, 1000 ლარი იქნება. ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან მკაცრები ვიქნებით.

რაც შეეხება ერთი ჩანთის პრინციპს, ამ შემთხვევაში ჯარიმა 20 ლარის ნაცვლად 50 ლარით განისაზღვრება. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით, არ დაგვეჯარიმებინა გარემოვაჭრეები, სიტყვიერად ვუხსნიდით და თუ არ დაგვემორჩილებოდნენ, მაშინ ხდებოდა კონფისკაცია. ეს ცვლილებები არის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ჩვენი ქალაქისთვის“, — განაცხადა გიორგი ბაგრატიონმა.

ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე **ზაზა ხატიაშვილი** ამბობს, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება გარემოვაჭრეებთან ფეოდალურ სისტემას ჰგავს და მსგავსი დამოკიდებულება შესაცვლელია.

„როდესაც ადამიანებს სამსახური არა აქვთ, ვაჭრობისთვის მათი დაჯარიმება სამარცხვინოა. მთავრობის მიდგომა მაგონებს ფეოდალურ ეპოქას და მათი პოზიცია უნდა შეიცვალოს. თავად არ შეუძლიათ, ეკონომიკა გააუმჯობესონ და ადამიანების დაჯარიმებით უნდათ ბიუჯეტის შევსება.

მოსახლეობა იმდენად დაღლილია პრობლემებით, რომ პროტესტის გამოხატვის თავიც კი აღარ აქვს. არავის ეგონა და პირადად მეც გამიკვირდა, როდესაც „ბავშვთა სამყაროს“ გადაწვის ამბავი დადასტურდა და დაიდო ექსპერტის დასკვნა, საპროტესტო აქციაც კი არ გაუმართავთ. ხალხი იმდენად გადაღლილია, რომ არაფრის თავი აღარა აქვს, ხელისუფლებას კი მათი სატკივარი არ აინტერესებს“, — აღნიშნა ხატიაშვილმა.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შემავალ ცვლილებას სისულელეს უწოდებს თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი **ალეკო ელისაშვილი**. როგორც მან „კომერსანტს“ განუცხადა, გასაკეთებელია ნომენკლატურა, რათა განისაზღვროს რითი და სად შეიძლება ვაჭრობა. ელისაშვილი აღნიშნავს, რომ გარევაჭრობა ურბანული ცხოვრების ჩვეულებრივი ნაწილია.

„გარევაჭრობას გამკაცრება და ბრძოლა კი არა, მოწესრიგება სჭირდება. გააჩნია სად, როგორ და რითი ვაჭრობ, ლურჯი ტენტით არ უნდა შემოღობოს რუსთაველის ძეგლი და იქ ახალდაკლული ხორცი არ უნდა გაყიდოს, ეს გასაგებია, მაგრამ არის სხვა სახეობის პროდუქტი, მაგალითად, ხილი რომლით ვაჭრობაც მისაღებია, მაგრამ კონკრეტულ ადგილას და კონკრეტული არქიტექტურული ფორმები უნდა ჰქონდეს ამ ყველაფერს“, — განაცხადა ელისაშვილმა.

ბექა დანელია

ოლონდ კაცი არ მოკლა, ოლონდ ნარკოტიკის სიყვარული არ გამოამჟღავნო და... მიდი, იბაირამე!

ოცნებას კაცი არ მოუკლავს

№66-67. შაბათი, 31 მარტი -

დღევანდელი ქართველობა ბედნიერ საქართველოს უნდა მოვესწროთ!

ბიძინა ივანიშვილი მიმართავს ამომრჩეველს

ბიძინა ივანიშვილის მიმართვა ამომრჩევლისადმი („საქართველოს რესპუბლიკა“ №66-67, 31მარტი-1 აპრილი) როგორც ჩანს, პასუხისმგებლობის გამძაფრებულმა გრძნობამ უკარნახა ავტორს. თუ არა ასეთი განცდა, რა რჯის ადამიანს, სინანულს განიცდიდეს იმაზე, რაც ვერ გაკეთდა. მას ხომ შეეძლო და მორალური უფლებაც ჰქონდა, ესაუბრა მიღწევებზე, იმაზე, რაც გაკეთდა, რაც ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში შეიქმნა, ამით მკითხველის ოპტიმიზმიც გაეძლიერებინა და თავადაც კეთილი ძიას როლში გამოსულიყო – რამდენი რამ უკეთებია, რამდენი რამ შეჰმატა ქვეყანას, მაგრამ ქვეყნის, ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა სინანულს აღუძრავს – გამოისობით ამა თუ იმ მიზეზისა (ზოგი რამ მიმართვაშიც არის მოხსენიებული), დანაპირები სრულად ვერ შესრულდაო. ვერც შესრულდებოდა. უმთავრესი მიზეზი: თუ გამარჯვება მთელმა ხალხმა ერთად არ მოიწადინა, თუ ამ გამარჯვებისთვის არ გაერთიანდა, ხელები არ დაიკაპიწა და მიზნის მისაღწევად ძლიერ არ გაისარჯა, სურვილის ასრულება მიუწვდომელი ხდება.

სწორედ მიუღწეველმა, განუხორციელებელმა ოცნებამ დააწერინა ეს მიმართვა ადამიანს, რომელიც არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიის დამარცხებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპარეზიდან მის გაძევებას ელტვოდა, ყველაფერი ეს მისთვის ეწადა, ერს, ქვეყანას საკადრისი ყოფა ჰქონოდა. მიზნის პირველი ეტაპი წარმატებით განხორციელდა, მეორე ეტაპის ხორცშესხმა უფრო რთული აღმოჩნდა და მოლოდინის რეჟიმში ვართ.

დრო რამდენიმე საკითხს გამოკვეთს:

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა,

ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების კვლევა,

ხვალინდელი დღე – როგორ უნდა გავისარჯოთ, რომ საქართველოს მოქალაქეთა ყოფა გახდეს უკეთესი, ვიდრე არის დღეს.

ალბათ, მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა: არ ვამბობ საქართველოს მოქალაქეთა ყოფა კარგი გახდეს-მეთქი. მოვლენების განვითარების რიგითობა, ტემპი, ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართება, გვიკარნახებს, რომ ეს მომავლის საქმე უფროა, ვიდრე სადღეხვალიო.

დიახ, ფაქტია: ქვეყანაში ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, მაგრამ 2012 წელს „ქართული ოცნების“ მიერ მოსახლეობისადმი მიცემული რიგი დაპირებანი, შეუსრულებელი აღმოჩნდა.

ცალმხრივობა და მდგომარეობის გაიოლებისაკენ სწრაფვა იქნება თუ სრულ გაუმარჯვებლობას მხოლოდ ოპოზიციას გადავაბრალებთ. ოპოზიცია ხელისუფლებას ყველგან და ყოველთვის კრიჭაში უდგას, ცდილობს, მისი მიღწევები გააფერმკრთალოს, ან არად წარმოაჩინოს – სულაც იავარყოს. ჩვენში კითხვის ნიშნის ქვეშ გახლავთ მოქცეული ის, თუ როგორია ამ ოპოზიციონერობის, კრიჭაში ჩადგომის კულტურა, ამას კი დიდი, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. არა-რა ოპოზიციონერობა არ არის იმ ლექსიკაში, ტერმინოლოგიასა და პიროვნების ღირსებისადმი დამოკიდებულებაში, რომლითაც ზოგიერთი ზნეობრივად ბეჩავი ოპოზიციონერი ბიძინა ივანიშვილს იხსენიებს და მიმართავს. მათი ტერმინოლოგია, კონტექსტი და ქვეტექსტი კატეგორიულად მიუღებელია, თუნდაც იმიტომ, რომ არც პარტიული დაპირისპირების ნიშნებს ატარებს, არც ქართულია და არც – კაცური. როგორც ჩანს, ოპოზიციის ამ ნაწილისათვის ოპოზიციონერობა „ამრევობას“ ნიშნავს და კონფლიქტური, ლამის კრიმინალური სიტუაციების შექმნად მიაჩნია. ეს კი დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია და თავის ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე – წამლავს ატმოსფეროს. არა ვგონებ, ოპოზიციონერი დავით ბაქრაძე ან გიგი წერეთელი,თუ გიგა ბოკერია, რომლებიც სწორედ საპარლამენტო მუშაობის ჩინებულ სტილს გვიჩვენებენ, აღფრთოვანებული იყვნენ ზოგიერთი თანაპარტიელის პოლიტიკური კულტურითა და ღირსეული სამსახურით ქვეყნის, პარტიისადმი.

დაბალი პოლიტიკური კულტურა მხოლოდ დესტრუქციული ქმედებისაკენ გიბიძგებს. ანბანური ჭეშმარიტებაა: ოპოზიციონერობა და დესტრუქტივიზმი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან – „შუა უზით დიდი მზღვარი.“ დამოუკიდებლობის მეოთხედსაუკუნოვანი გამოცდილება გვაჩვენებს: ჩვენი ოპოზიციისათვის დესტრუქციზმი გაცილებით ხელმისაწვდომია, ვიდრე გააზრებული ოპონირება. ამიტომ საღი აზრი, მაღალი პოლიტიკური კულტურა მიუწვდომელი გახდა. ასე მეჩვენება, რომ ოპოზიციამ თავადაც არ უწყის, ამ დესტრუქტივიზმით რომ იმას აძლიერებს, ვისაც ებრძვის – მმართველ ძალას. დიახ, მმართველ პარტიას კვლავაც გამარჯვების შანსს უტოვებს და აი, რატომ: ხალხი გამოვიდა, ან გამოდის მიამიტობის, გულუბრყვილობის ბანგისგან – კარგად არჩევს შავსა და თეთრს, ხვდება ოპოზიცია რას, რისთვის და როგორ აკეთებს. იმასაც ხედავს, ამ წაჯექუკუჯექობაში საქვეყნო საქმე რომ ფუჭდება, ზარალდება და როცა მარტო რჩება, როცა სიტუაციის ანალიზს აკეთებს, შესაბამის გადაწყვეტილებასაც იღებს.

ვერც იმას ავუვლით გვერდს, რომ დღეს, სამწუხაროდ, არჩევანი კეთდება არა ცუდსა და კარგს, არამედ ცუდსა და უკეთესს შორის. დღეს ეს უკეთესი „ქართული ოცნებაა“, თუმცა, აგერ გუშინ უკეთესი კი არა, კარგი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისმა ლიდერმა თითქმის დაუჯერებელი გადაწყვეტილება მიიღო და აღასრულა კიდეც (თუმცა, ვინათგან ეს უკვე მომხდარი ფაქტია, დაუჯერებელიც აღარ ეთქმის!) განზე გადგა ? იმ დროში, როცა ქვეყნის მართვის სადავეების ხელში მოსაქცევად, სისხლისღვრასაც არ ერიდებიან, აღვირი სხვებს გადაულოცა, მდგომარეობა ნელ-ნელა შეიცვალა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფარა უმწყემსოდ დარჩა, დარჩა იმ მწყემსის გარეშე, რომელიც ამას სერიოზულ ძალად აქცევდა.

და თუ მაშინ, 2013 წელს, ვამაყობდით იმით, რომ საქართველომ დემოკრატიის ესოდენ მაღალი დონე აჩვენა და ბევრ ქვეყანაში სიუზერენობისთვის ამხედრებულთ დიდებული მაგალითი მისცა, დრომ, მოვლენების განვითარებამ დაგვანახვა: ეს ქმედება საზოგადო, საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი კი არ ყოფილა, არამედ ერთი კონკრეტული ადამიანის, ერთი პირისა, რომელმაც ამ ქმედებით თვალსაჩინო გახადა: ხელისუფლებისთვის კი არ იბრძოდა, სიუზერენის სავარძელში ჩასაჯდომად კი არ შესძრა ამერ-იმერი, იმ იდეის გამარჯვებას გახლდათ მოწადინებული, რომელიც თავისი ქვეყნის, ხალხისთვის ასე აუცილებლად მიაჩნდა. მაგრამ დრომ ისიც დაგვანახვა, რომ ნაყოფი ჯერ კიდევ მკვახე გახლდათ და მისმა დაკრეფამ ქვეყანას დიდი ვერაფერი სამსახური გაუწია.

დღეს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებისგან ხშირად გაიგონებთ, ბიძინა ივანიშვილი წავიდა, მაგრამ იქვე დარჩა, ფაქტობრივად, არსად წასულა – ჩრდილოვანი მმართველი გახლავთო. მე, გასაგები მიზეზების გამო – სახელისუფლებო წრეებისაგან ერთობ შორსა ვარ – ამ ინფორმაციას ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ. ერთი რამ კი ცხადია: თუ ეს ტყუილია, ძალიან ცუდია, ისევე როგორც ყოველი ტყუილი, ხოლო თუ მართალია, მაინც ძალიან ცუდია: როგორც არ უნდა მიუთითო, როგორც არ უნდა ჩააგონო, შენს ჩანაფიქრს სხვა ისე ლაზათიანად ვერ განახორციელებს, როგორც შენ, რადგან ეს შენი იდეაა, შენი მოფიქრებული. თუმცა, იმასთან დაკავშირებით, ამ ინფორმაციას თუ რატომ ვეკიდები იჭვით, მკითხველს ერთ მოსაზრებასაც გავუზიარებ: გამომდინარე იქიდან, რომ ყოველდღე ბევრ ტყუილს ვისმენ, ამ მოსაზრებასაც გამონაგონად მივიჩნევ: რა ხანია, მესმის ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ბუნებას ნირს უცვლის, სადაც ლამაზ, მოსაწონ საუკუნოვან ხეს ნახავს, მოთხრის და თავის ეზოში მიარბენინებსო. ვკვირობდი, რატომ, რისთვის უნდა აკეთებდეს ამას ადამიანი? აღმოჩნდა, რომ თავის ეზოში კი არ მიაქვს, უნიკალური დენდროლოგიური პარკი იქმნება – კეთდება საზოგადო საქმე. მე კი დილა-საღამოს ჩამძახიან, ტყეებს ანადგურებსო. ამ მიზეზით – სიცრუის დახვავების გამო, დაკარგა აზრი ამა თუ იმ მიმომხილველის გამოსვლამ – პოლიტიკური ყოფის „ანალიზმა“. რატომ, როდის იყო საინტერესო, იმ ადამიანის მოსმენა, რომლის გამოჩენისთანავე იცი, რასაც იტყვის, როგორ სურათს დახატავს. ეს ძალიან პრიმიტიული ჟურნალისტიკაა.

დღევანდელ საქართველოს ბევრი რამ აკლია, ბევრი რამის დეფიციტი გაგვიჩნდა, მთავარი კი კანონიერების დეფიციტი, ან მისდამი ზედაპირული დამოკიდებულება გახლავთ. დემოკრატია თავისუფლების დედაა, მაგრამ მისდამი არასწორი დამოკიდებულებით, იგი შეიძლება, ანარქიის დედადაც აქციო. დემოკრატია ვერ ჰგუობს ყველაფრის ნებადართულობას, რადგან ეს ქმნის უკიდურესად ნეგატიურ ფონს. დღევანდელ საქართველოში ეს ნეგატიური ფონი ძნელად დასანახი არ არის – ლამის სახეში გვცემს – ადამიანები თავიანთ ნაქნარსა თუ ნათქვამზე პასუხს არ აგებენ.

მკითხველს ვთხოვ, თვალი მოავლოს საქართველოს ისტორიას და გაიხსენოს, დიდი, განსაკუთრებული სიყვარულით რომელი მეფე შეიყვარა ქართველმა ხალხმა. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ხალხის სიყვარული სწორედ იმ მეფეებმა დაიმსახურეს, რომლებმაც ურჩთა, კანონის გვერდის ამვლელთა სისხლი ღვარეს. დავეთანხმები იმათ, ვინც ჩემს წინააღმდეგ ამხედრდება, შუა საუკუნეების მეთოდებს ნატრულობსო, რასაკვირველია, ეს არ არის კარგი, მაგრამ სახელმწიფოს ღირსება, მოსახლეობის უშიშროება, სიმშვიდე გაცილებით ფასეულია, ვიდრე კანონის არადჩამგდები. შემთხვევით არ ლაპარაკობს სულმნათი პოეტი შინისა და სიყვარულის ურთიერთობაზე. დიდი ერეკლე მეფის, მოგვიანებით კი მისი ძის – გიორგი მეთორმეტის ეპოქაში სახელმწიფოებრიობის, კანონისადმი მეტი კრძალვა რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ეს მეფეები მეზობელ სახელმწიფოსთან სულ სხვაგვარ ხელშეკრულებაზე მოაწერდნენ ხელს.

დღეს კი...დღეს...

სიბეცე, დიდი უსამართლობა, ცოდვაც კია იმაზე საუბარი, თითქოს „ქართული ოცნების“ ზეობის ხანა ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი არ იყოს, ამის დაუნახაობა სინდისისგან განდგომის ტოლფასია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, პარტიის მავანმა და მავანმა წევრმა ვის სიტყვასაც ასე თუ ისე გაჭრა ჰქონდა, განუზომლად ხარჯა პარტიის ლიდერის ავტორიტეტი. იქნებ, ეს ერთგვარად თავდაცვითი საშუალებაც გახლდათ, რადგან ლიდერის განდგომის შემდეგ რთული იყო წონასწორობის, მიღწეული სიმაღლის შენარჩუნება. არარა სურვილი არა მაქვს, ეჭვი შევიტანო „ქართული ოცნების“ მრევლის კეთილსინდისიერებასა და სამშობლოს თაყვანისცემაში, მაგრამ ხომ ფაქტია: მას შემდეგ, რაც ეს პარტია მმართველი ძალა გახდა, ბევრი გაქნილი, მოხერხებული მედროვე მის სიახლოვეს აღმოჩნდა.

იხ. 9 გვ.

ბაქოში ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე AITF-2018 აზერბაიჯანის პრეზიდენტმა საქართველოს სტენდი დაათვალიერა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აზერბაიჯანში ყოველწლიურ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

ბაქოში გამართულ გამოფენაზე საქართველოს სტენდი აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა და აზერბაიჯანის ვიცე-პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ მეჰრიბან ალიევამ დაათვალიერეს. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ზურაბ პოლოლიკაშვილი.

საქართველოს სტენდი აზერბაიჯანის პრეზიდენტს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ გააცნო. ბაქოში AITF-2018-ის გამოფენაზე მსოფლიოს 20 ქვეყნიდან 230-მდე კომპანია იყო წარმოდგენილი. გამოფენას ტურისტული ინდუსტრიის 4 ათასზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციასთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, წყალტუბოს ტურიზმის განვითარების ცენტრი, სასტუმროები და ბალნეოლოგიური ცენტრი..

◎ მომავლის კონტურები

ხელოვნური ინტელექტის მომაკვდინებელი საფრთხე

მთელ მსოფლიოში ნანოტექნოლოგიების უსწრაფესმა განვითარებამ, რომელთა მეშვეობით ხელოვნური ინტელექტი ცოდნის ახალ-ახალ სფეროებსა და პროფესიებს ლამის ყოველდღიურად ეუფლება, ცოტა ხნის წინათ, რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** ერთობ საგულისხმო სიტყვები ათქმევინა: „ის, ვინც ამ სფეროში ლიდერობას ხელთ იგდებს, სამყაროს მბრძანებელი გახდება“, – და ამ სიტყვებს უმალ შეუერთდნენ ამერიკელი გამომგონებელი, მილიარდერი **ილონ მასკი** და „ინტერნეტის მამა“ **ბილ გეიტსი**.

– ამ სფეროში ლიდერობისთვის ბრძოლას შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომი მოჰყვეს, – აღნიშნავს ილონ მასკი, ბილ გეიტსი კი ამბობს: ახალგაზრდა რომ ვიყო, ყველაფერს თავს დავანებებდი და მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის პრობლემებით დავკავდებოდი, რადგან ამაზე კაცობრიობის მომავალია დამოკიდებულიო.

ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით პოლარულად განსხვავებულ აზრთა დაპირისპირებაა. ოპტიმისტები აცხადებენ, რომ მანქანური ინტელექტის წყალობით ადამიანებს ხელები და ტვინი გაცილებით საინტერესო საქმიანობისთვის გამოუთავისუფლდებათ, ვიდრე მომაბეზრებელი ერთფეროვანი მუშაობაა, რომლის კეთება რობოტებს დაეკისრება. მაგალითად, ბილ გეიტსი ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული თამაშების განვითარების წინადადებას აყენებს, რომლითაც მომავალში დედამიწის მოსახლეობამ უნდა შეიქციოს თავი, რომლის უმეტესი ნაწილი ხელოვნური ინტელექტის წყალობით უმუშევარი დარჩება.



არადა, **უმუშევრობა** – ესაა ყოველდღიურ ყოფაში ხელოვნური ინტელექტის შემოჭრის თანმხლები ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, რომელსაც ადამიანთა მასობრივი დეპრესია და თვითმკვლელობა მოჰყვება, რაც უკვე საგანგაშოდ გახშირდა ჩინეთში. ეს კი, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ ვიდრე წარმოებაში რობოტები და უახლესი ტექნოლოგიები დაინერგებოდეს, საჭიროა შესაბამისი სოციალური პროგრამების მომზადება.

ამასობაში კი ნანოტექნოლოგიების განვითარების სისწრაფე იმდენად გაიზარდა, რომ ადამიანის გონება ხელოვნური ინტელექტის განვითარების სიჩქარეს ვეღარ სწვდება.

მაინც რაში მდგომარეობს საფრთხის არსი?

საქმე ისაა, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარება, ბავშვის საზრიანობის მატების ანალოგიით, რამდენიმე სტადიად მიმდინარეობს. **თავდაპირველად ის ობექტების ერთმანეთისგან გარჩევას სწავლობს** (ვთქვათ, ეს სკამია, ეს – ფინჯანი), შემდეგ ჯერი **არსზე** დგება (სკამზე ვჯდებით, ფინჯნიდან ვსვამთ), – ასე გროვდება ცოდნა. მერე კი, რაღაც მომენტში, **საკუთარი თავის აღქმა** ხდება: „აი, ეს მე ვარ, ჩემს ირგვლივ კი გარკვეული შინაარსის მქონე სხვადასხვა ობიექტია“.

ახლა ის დროა, როცა თანამედროვე ხელოვნური ინტელექტი მაქსიმალურად მიუახლოვდა ამ სტადიას და მასაც აუცილებლად დაძლევს.

ჰოდა, **მას შემდეგ, რაც ეს მოხდება, კაცობრიობას, ფაქტობრივად, დრო აღარ დარჩება იმის გასაგებად, ვინაა ის ჩვენთვის – მტერი თუ მოყვარე**.

იმისათვის, რომ ხელოვნური ინტელექტი ადამიანის უპირობო მეგობარი იყოს, მას აუცილებლად შეზღუდვები უნდა ჰქონდეს (მათი ქვაკუთხედი მე-20 საუკუნის უდიდესმა ამერიკელმა ფანტასტმა მწერალმა **აიზეკ აზიმოვმა** თავის ცნობილ მოთხრობაში – **„მე, რობოტი...“**, ჩამოაყალიბა „რობოტოტექნიკის სამი კანონის“ სახით:

1. რობოტმა არ შეიძლება, ზიანი მიაყენოს ადამიანს;

2. რობოტმა უნდა შეასრულოს ადამიანის ნებისმიერი ბრძანება, თუკი ის არ ეწინააღმდეგება №1 კანონს;

3. რობოტმა უნდა იზრუნოს თავის უსაფრთხოებაზე, თუკი მისი ქმედებები არ ეწინააღმდეგება №1 და №2 კანონებს – **ნ.ა**.).

რეალური საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი თავის შემეცნების პროცესში შეიძლება ხელოვნურმა ინტელექტმა ისეთი გადაწყვეტილებების მიღება დაიწყოს, რომლებიც ადამიანმა ვერ გაითვალისწინა (ანუ მასში თავიდანვე არ ჩაიდო). ამ შემთხვევაში მანქანები თავად დაიწყებენ იმის განსაზღვრას, თუ რა არის მათი აზრით სწორი და რა – არა, რის შედეგად ამ ჯაჭვში ადამიანი შეიძლება ზედმეტი აღმოჩნდეს.

თანაც ხელოვნური ინტელექტის სისტემები გამუდმებით ვითარდება, უამრავ უნარ-ცოდნას თავისით იძენს. მათ უკვე მოიგონეს ერთმანეთთან ურთიერთობის საგანგებო, ადამიანისთვის გაუგებარი ენა(?!) შემდეგი ნაბიჯი ის იქნება, რომ მათ წარმოეშვებათ ემპათია – **ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობა**.

ამის შედეგების წინასწარ განჭვრეტა კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ხელოვნური ინტელექტის ელემენტები დღესდღეობით ყველა საოფისე პროგრამაშია, რადგან მათი გამოყენება მეტად მოსახერხებელია. ისინი უკვე გამოიყენებიან სამედიცინო სფეროში, სოფლის მეურნეობის დარგებში (მაგალითად, ბრაზილიაში „გონიერი“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ფერმერული მეურნეობის ნახევარშია დანერგილი!). ახლა უსწრაფესი ტემპით ინერგება უმძლოლო ავტომანქანების მოხმარება, რომლებიც კომპიუტერული ხედვით არის აღჭურვილი. ამდენად, ჩვენ, ფაქტობრივად, რევოლუციის მომსწრენი ვართ: **მანქანა ნივთიდან ხელოვნური ინტელექტის მატარებელ არსებად გარდაიქმნება**.

ყოველივე ეს, არსებითად, დღევანდელი რეალობაა, ახლა საქმე ისაა, მივალთ კი ამ მანქანებით საყდრამდე, თუ გზაზე გადავიჩეხებით?

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

წარმოებულია აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში...

აფხაზეთსა **და ცხინვალის რეგიონში წარმოებული პროდუქცია საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (სავაჭრო ქსელებში) შესაძლებელია, სტატუს-ნეიტრალური მარკირების გამოყენებით განთავსდეს. ამას ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის ახალი სამშვიდობო ინიციატივა – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის წახალისებას ისახავს მიზნად.**

კერძოდ, პროდუქციაზე საკმარისია განთავსდეს მწარმოებლის სახელი, წარმოების ქალაქი ან დასახლება (მაგალითად, სოხუმი, გაგრა და ა.შ.) ან/და მისამართი (ქუჩის და ნომრის მინიშნებით). საჭიროების შემთხვევაში, პროდუქციაზე სტატუს-ნეიტრალური მარკირება შიდა ბაზარზე განთავსდება შესაბამისი შტრიხკოდით, რომელიც პროდუქციას მიენიჭება შესაბამისი შემცველობის მიხედვით. პროდუქციის დასახელება და მასზე განთავსებული სხვა სახის ინფორმაცია შესაძლებელია, დატანილ იქნას აფხაზურ ენაზეც.

როგორც კონცეფციაშია აღნიშნული, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმოებული პროდუქცია საექსპორტო ბაზარზე გავა როგორც საქართველოში წარმოებული პროდუქტი.

საექსპორტო ბაზარზე საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის მოსახვედრად სავალდებულოა წარმოების სერტიფიკატი, ხოლო პროდუქციის სპეციფიკური სახეობებიდან გამომდინარე – ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული ან ჰიგიენური სერტიფიკატი. შესაბამისად, განსაზღვრულ შემთხვევებში, განხორციელდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან სამხრეთ ოსეთიდან შემოტანილი პროდუქციის ლაბორატორიული კვლევის ჩატარება საქონლის უვნებლობის გარანტირებისათვის, რის შედეგადაც გაიცემა ფიტოსანიტარიული ან ვეტერინარული სერტიფიკატი, ან შესაბამისი დოკუმენტი, რაც აუცილებელია ასეთი სახის საქონლის უცხო ქვეყანაში ექსპორტისთვის.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ მეწარმეებს შეეძლებათ შესაბამისი სერვისისა და აღნიშნული სერტიფიკატის მოპოვება მომსახურების ერთიან ცენტრში. თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების ფარგლებში, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმების უნაკლოდ ფუნქციონირებას.

შესაბამისად, პროდუქციის სპეციფიკიდან გამომდინარე და საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტისას, საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტებს უნდა მიეცეთ ადგილზე შესაბამისი ინსპექტირების განხორციელების საშუალება, რათა დაადასტურონ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში პროდუქტის წარმოების ფაქტი.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედ საწარმოებს, რომლებსაც ექნებათ საკუთარი პროდუქციის ევროკავშირის წევრ ან სხვა სახელმწიფოებში ექსპორტის სურვილი, ამ ინიციატივის ფარგლებში, შესაძლებელია, დახმარება გაეწიოთ ევროსტანდარტების დანერგვასა და პროდუქციის მოთხოვნილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში. შეიქმნება პირობები, რომ კერძო ლაბორატორიების ხელშეწყობით საწარმოებმა უზრუნველყონ პროდუქციისთვის შესაბამისი სერტიფიკატის მიღება.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირები შეძლებენ, ადგილზე წარმოებული პროდუქცია შემოიტანონ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე თანმხლები დოკუმენტების (აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში შექმნილ დოკუმენტში მითითებული მონაცემი) და, შემოწმების საჭიროების შემთხვევაში, საქონლის დათვალიერების საფუძველზე. პროდუქციას, ასევე, თან უნდა ახლდეს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშფაქტურა და, საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა დოკუმენტები (რომლებიც გამოიწერება საქართველოს საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით და მუშავდება ელექტრონულად).

შეგახსენებთ, სამშვიდობო ინიციატივების საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავებაში მთავრობასთან ერთად ჩართული იყო ასევე საპარლამენტო უმრავლესობაც, და ის სამ ძირითად მიმართულებას გულისხმობს:

პირველი - გამყოფი ხაზების გასწვრივ ვაჭრობის გაფართოება და გამარტივება ახალი შესაძლებლობების შექმნის გზით. ინიციატივის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების გავლით ვაჭრობასთან დამაკავშირებელი ინდივიდუალური და საერთო ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება.

მეორე – ხარისხიანი განათლების მიღების დამატებითი შესაძლებლობების შექმნა და წვდომის გამარტივება განათლების ყველა საფეხურზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

მესამე – ისეთი მექანიზმის შექმნა, რომლითაც მარტივდება წვდომა იმ სიკეთეებსა და სარგებელზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარების შედეგად, მათ შორის ევროინტეგრაციის გზაზე ხელმისაწვდომი გახდა, ეს არის უვიზო მიმოსვლის უფლება, თავისუფალი ვაჭრობის უფლება და ა.შ.

სოფო ქსოვრელი

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ 27-28 მარტს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 43-ე რაუნდი, რომელმაც განიხილა ორი მნიშვნელოვანი საკითხი — ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების მექანიზმების შექმნა.

10 წელია, ჟენევა მასპინძლობს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებს ევროკავშირის, გაეროს, ეუთოს თანათავმჯდომარეობით, თუმცა ნაკლები წარმატებით. როგორც ჩანს პროცესი ჩიხში შევიდა, საიდანაც გამოსვლა საკმაოდ ძნელია. ხანდახან ადგილი აქვს რაღაც ნათელ გაელვებას, მაგრამ ისიც უშედეგოდ ქრება და ისევ ისადგურებს ვითარება, აღსავსე გადაუჭრელი პრობლემებით, უნდობლობით, ერთმანეთის დადანაშაულებით და ა. შ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲠᲐᲙᲔᲢᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ 200-ᲢᲝᲜᲘᲐᲜ „ᲡᲐᲠᲛᲐᲢᲘᲡᲐᲜ“ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲯᲐᲠᲗᲘᲐ!

„ქართველი და ამერიკელი მონაწილეების მიერ ხაზი გაესვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან ძალის არგამოყენების ვალდებულების დადასტურებისა და მისი შესრულების უზრუნველყოფის აუცილებლობას. რუსეთის ფედერაციამ გამოიჩინა დესტრუქციული მიდგომა და მიზანმიმართული პროვოკაციული განცხადებებით, მიმდინარე რაუნდზე ჩიხში შეიყვანა მოლაპარაკებები ძალის არგამოყენების საკითხზე“ — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

„სამწუხაროდ, შეთანხმება ტექსტთან დაკავშირებით არ მოხერხდა, ვინაიდან მოლაპარაკებებში მონაწილეებს განსხვავებული წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება ჩაიწეროს განცხადებაში...“

„ჩვენ მოვილაპარაკეთ, შევხვდეთ ივნისში, რომლის დროსაც შესაძლოა ვიმსჯელოთ ჟენევის ფორმატის რეფორმირებაზე“ — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კარასინმა, რასაც მისმა ქართველმა კოლეგამ დონდუამ ასე უპასუხა: „ჟენევის ფორმატის რეფორმირებაზე სიტყვა არავის დაუძრავს. ფორმატი უნიკალური და ძალიან კარგი ინსტრუმენტია, რომელიც პასუხობს მის წინაშე დასმულ ამოცანებს“.

ზემომოყვანილი განცხადებები აშკარა მაუწყებელია, რომ ჟენევის პროცესი ისე არ მიდის, როგორსაც ჩვენ მოველით, პირიქით მიღებული შედეგი (უშედეგობა) მანიშნებელია იმისა, რომ პროცესი უსასრულოდ გაიჭიმება და საბოლოო ჯამში... გინესის წიგნშიც შეიძლება აღმოჩნდეს.

არადა, ჟენევამდე, იმედის პატარა სინათლემ გაიელვა, ერთობ მოულოდნელმა და სასურველმა — რუსეთის ხელისუფალთა მიმართ პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის წერილში: **„ჩვენ ადრეც განვაცხადეთ და კვლავაც ვადასტურებთ, რომ დაინტერესებული ვართ, მივაღწიოთ რეალურ პროგრესს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პროცესში, რისთვისაც დავადასტურე ჩემი პირადი ჩართვის მზაობა“**, მაგრამ...

პრემიერის წერილს მოყოლილმა ოპოზიციურმა ლანძღვა-გინებამ თავისი გააკეთა. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ მთავრობის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტებები, რომ პრემიერ-მინისტრს სულაც არ უგულისხმია ჟენევის მოლაპარაკებებში მისი პირადი მონაწილეობა და რომ ამ ფორმატის შეცვლაზე ოფიციალური თბილისი არ ფიქრობს.

აბა რა იგულისხმა კვირიკაშვილმა, როდესაც დაწერა: **„რისთვისაც დავადასტურე ჩემი პირადი ჩართვის მზაობა“?** კვირიკაშვილს ორეული არ ჰყავს, წერილის შედგენა რომ დავაბრალოთ.

სამწუხაროდ, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არაკოორდინირებული მოქმედება ჩვეულებრივ ამბად არის ქცეული. შეუთანხმებლობის გამოვლინება იყო

მხოლოდ მოლაპარაკება — ისე, როგორც ამის შესახებ არის აღნიშნული კვირიკაშვილის წერილში, არის ერთადერთი სწორი და რეალური გზა საქართველოსთვის.

აშშ-დან დაბრუნებული პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები, პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის წერილთან დაკავშირებით, ისე, როგორც ჟენევის ფორმატში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელის დონდუას ნათქვამი ფორმატთან დაკავშირებით. მას მიაჩნია, რომ ფორმატი კარგია მაშინ, როდესაც ხელისუფლების მაღალ საფეხურებზე (და არა მარტო) საწინააღმდეგო მოსაზრებაა.

ასეა თუ ისე, ჟენევის მორიგმა რაუნდმა არაფერი მოიტანა, თუმცა კარასინი ოპტიმისტურად აცხადებს, რომ ბოლო შეხვედრა კონსტრუქციული იყო, თუმცა ერთობ ემოციური.

როგორც ზემოთ აღვნიშნე უსაფრთხოების თემა მთავარი იყო, მაგრამ თანხმობა ვერ შედგა. არადა, მოლაპარაკებამდე, მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შეთანხმებას უნდა ჰქონოდა ადგილი, თუნდაც ზეპირის და არა წერილობითის. მართალია, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთი წერილობით დოკუმენტს ითხოვს, მაგრამ ზეპირიც, რაღაცას ნიშნავს. როგორც რუსები იტყვიან — „უთევზობისას, კიბორჩხალაც თევზია“.

ქართულ მხარეს, სუბიექტურ-ობიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მსგავსი „შეთანხმებისთვის“ მხარის დაჭერა შეუძლებლად მიაჩნია, ვინაიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მხარეებად არ მიიჩნევს. მისთვის მხარე რუსეთია. რუსეთი კი დაბეჯითებით ითხოვს შექმნილი ახალი რეალობის გათვალისწინებას. შეცვლის რუსეთი პოზიციას?

ხელისუფლება, რომელიც რუსეთშია, არაფრის შემცვლელი არ არის! ვეჭვობ, რომ სხვა ხელისუფლება გადადგამს საქართველოს მოსაწონ ნაბიჯს. არის დედამიწის ზურგზე ზესახელმწიფო ან ზესახელმწიფოები, რომლებიც შეაცვლევინებენ რუსეთს პოზიციას?

არსებული მსოფლიო ვითარებიდან გამომდინარე, ასეთი ან ასეთები არ ჩანან და ალბათ უახლოეს პერიოდში არც გამოჩნდებიან. ეკონომიკური სანქციები, რომლებიც მათ რუსეთს, ყირიმის ანექსიიდან გამომდინარე, დაუწესეს, რაღაცას აკეთებს, მაგრამ არა მთავარს, ანუ სანქციებმა ვერ დააჩოქა რუსეთი. პირიქით, შეაკავშირა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ააღორძინებინა საკუთარივე ეკონომიკა.

არის სხვა ძალა ზეგავლენისა? ცხადია, არის — მას სამხედრო ძალა ჰქვია, მაგრამ ძალისმიერი გზით რუსეთის დაჩოქება, საკუთარი თავის დაჩოქების ტოლფასია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცდილობს „კოლექტიური“ დასავლეთი რუსეთის რაკეტებით შემორკალვას, მისი სტრატეგიული ობიექტების სწრაფი განადგურების მიზნით რაკეტების ფრენის მანძილის მინიმუმამდე შემცირებას; ნატოს ჯარებისა და სამხედრო ტექნიკის რუსეთის საზღვრებთან განლაგებას; რუსეთის ფაქტის წინაშე დაყენებას და უსიტყვო კაპიტულაციას.

ევროპაში, კერძოდ რუმინეთ-პოლონეთში განლაგებული ამერიკული ანტისარაკეტო სისტემები რუსეთის არასწრაფ რეაგირებაზეა გათვლილი — მეტადრე, დროის სიმცირის გათვალისწინებით. და როდესაც აშშ-ის ადმინისტრაციამ, ლამის რაკეტის გასროლის გარეშე გადაწყვიტა, ეზეიმა, რუსეთის პრეზიდენტმა უახლესი შეიარაღების დემონსტრირება მოახდინა.

ევროპაში განლაგებულ ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას რუსეთის რაკეტები უნდა დაეჭირა, რის შემდეგ რუსეთზე თავდასხმას განახორციელებდა, მაგრამ პუტინის მიერ გამომზეურებულმა „რისხვამ“, 200-ტონიანი ბალისტიკური რაკეტის „სარმატის“ სახით, შოკში ჩააგდო „კოლექტიური“ დასავლეთი.

რაკეტა თავისუფლად გადალახავს ამერიკულ ანტისარაკეტო ქოლგას და როგორც ძერა, ისე დააცხრება აშშ-ის ქალაქებსა და სტრატეგიულ ობიექტებს. ასე რომ, დღევანდელი ანტისარაკეტო ამერიკული სისტემა თითქმის ჯართია!

საგონებელში ჩავარდნილმა დასავლეთმა ისიც თქვა — რუსული ახალი იარაღი ცხოვრებაში არ არსებობს — კარგად დამონტაჟებული ვიდეო-ფილმიაო. სხვათა შორის, იმავეს იმეორებენ ქართველი ჟურნალისტები და ექსპერტები.

ამას მოჰყვა რუსეთ-ინგლისის ორმაგი აგენტის სკრიპალის მომწამვლელი გაზით მკვლელობის მცდელობა. „კოლექტიურმა“ დასავლეთმა, ყოველგვარი გამოძიების გარეშე რუსეთი მიიჩნია დამნაშავედ და 100-ზე მეტი დიპლომატი გამოაძევა, რასაც რუსეთმა შესაბამისად უპასუხა. დასავლეთის ისტერიულმა ანტირუსულმა განცხადებებმა გავლენა იქონია საქართველოზეც და ჩვენც რუსეთის ერთი საკონსულო მუშაკი პერსონა ნონ გრატად გამოვაცხადეთ.

გარდა ამისა, ხელისუფალთა მხრიდან გაკეთდა ანტირუსული განცხადებები, რომლებმაც გადაფარეს პრემიერ კვირიკაშვილის წერილში მოხსენიებული პოზიტიური მესიჯები. თავისთავად ისმება კითხვა — ნიშნავს თუ არა აღნიშნული ქმედება პოლიტიკურ არათანმიმდევრობას?!

ჟენევის ისტორიიდან ოპოზიციაში მყოფმა „ნაცებმა“ გაიმარჯვეს. მათ ჩაშალეს თუნდაც თავშეკავებული, მაგრამ მაინც პროგრესიული შეთანხმება. რას მოგვიწოდებს ოპოზიცია? — რუსეთთან არავითარ მოლაპარაკებაზე არ წასვლას, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის თავშეუკავებულ მოქმედებას და მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევით მიზნის მიღწევას.

ექნება თუ არა კოლექტიურ შეკავშირებას ადგილი და როდის? — ამაზე არავინ არაფერს არ გვეუბნება, ვინაიდან მათთვისაც კარგად არის ცნობილი, რომ ასეთი რამ არ მოხდება.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ — დროის გაყვანა „იმათ“ წისქვილზე უშვებს წყალს. რაც მეტი დრო გავა, მეტად დავშორდებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. მხოლოდ მოლაპარაკება — ისე, როგორც ამის შესახებ არის აღნიშნული კვირიკაშვილის წერილში, არის ერთადერთი სწორი და რეალური გზა საქართველოსთვის.

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲫᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
პოლიტოლოგი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲬᲕᲠᲗᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

რუსეთმა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობით, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში ერთობლივი სამხედრო წვრთნები დაიწყო. წვრთნები „ძარცემის“ პოლიგონზე ტარდება და როგორც ე.წ. თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, მასში პირადი შემადგენლობა და სპეციალური სამხედრო ტექნიკა მონაწილეობს.წვრთნები რუსეთის 58-ე არმიის სამეთაურო-საშტაბო სწავლების გეგმის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც პარალელურად ჩრდილოეთ ოსეთშიც მიმდინარეობს. სულ წვრთნებში 2000-მდე სამხედრო მოსამსახურე და 300-ზე მეტი საბრძოლო ტექნიკა მონაწილეობს.

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა სირიაში ქიმიური შეტევის გამოძიების ახალი მექანიზმის შექმნაზე აშშ-ის რეზოლუციის პროექტს ვეტო დაადო.

დამოუკიდებელი მისიის შექმნას, რომელიც 7 აპრილს, ქალაქ დუმაში მომხდარი ქიმიური შეტევის ფაქტს გამოიძიებდა, შეერთებული შტატები ითხოვდა.

რეზოლუციას მხარი გაეროს უშიშროების საბჭოს 12-მა წევრმა დაუჭირა, ჩინეთმა თავი შეიკავა, ხოლო წინააღმდეგ რუსეთი და ბოლივია წავიდნენ.

გავუფრთხილდეთ ეროვნული მეცნიერების სახელს

ავთანდილ არაბული

ვახტანგ ლიჩელი

გია ჯაჯანიძის „სხვა რაკურსი“ - ცრუმეცნიერთა საჯირითო ასპარეზი

22 მარტს, ხუთშაბათს, ტელეკომპანია „იმედის“ საღამოს გადაცემებში კვლავ ვიხილეთ ჟურნალისტ გია ჯაჯანიძის პოპულარული ტელეშოუ „სხვა რაკურსი“, რომლის პირველი ორი მონაკვეთი სენსაციური სამეცნიერო აღმოჩენების ნიშნით იძნა წარმოდგენილი. რაც მთავარია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მისამართით კიდევ ერთხელ გაისმა საყვედური, რომ იძ უყურადღებოდ ეკიდებიან ახალ სამეცნიერო იდეებსა და მიგნებებს. რაკი მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან ამჯერადაც არავინ გამოხმაურებია ბრალდებას, ჩვენ გადავწყვიტეთ, დასმული საკითხების შესახებ აზრი გვეკითხა აკადემიური მეცნიერების წარმომადგენლებისთვის.

— ეს არც პირველი შემთხვევაა და, როგორც ჩანს, არც უკანასკნელი იქნება, — გვითხრა აკადემიკოსმა **ავთანდილ არაბულმა,** — როცა სრულიად არასამეცნიერო ფორმატით, ტელეშოუს სახით ფრიად შორსმიმავალ, სენსაციურ(!) ვარაუდებზეა საუბარი. ცხადია, ტელეპროგრამა ხელმძღვანელობს თავისუფალი სიტყვის პრინციპით და ამ გადაცემის შოუს ფორმატიც იძლევა შესაძლებლობას, რაგინდა რა მოსაზრება და ფანტაზია იქნეს ტელემაყურებლის ყურადღების საგნად ქცეული. მაგრამ საზოგადოების რეაქციამ ამჯერადაც გვიჩვენა, რომ, როდესაც საუბარი ქართველი ერის ისტორიის მეტად პრინციპულ საკითხებს შეეხება, შესაძლებელია, მაყურებელმა თუ მსმენელმა მიწოდებული ინფორმაცია შოუს შესატყვისად არ აღიქვას და, მეტი რომ არ ვთქვათ, სერიოზულად აღმოჩნდეს დეზორიენტირებული.

ამავე დროს აუცილებელია ითქვას, რომ მთლიანად მეცნიერული ქართველოლოგიისა და, კერძოდ, მისი თითოეული დარგის სერიოზული საერთაშორისო ავტორიტეტი სწორედ იმით არის განპირობებული, რომ ის მაშინაც კი იცავდა მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს, როდესაც ამას თითქმის შეუძლებელს ხდიდა შექმნილი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ატმოსფერო. და ქართველოლოგიის დიდ მესვეურებს (ივ. ჯავახიშვილს, ა. შანიძეს, გ. ახვლედიანს, კ. კეკელიძეს, ი. ყიფშიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას... შემდგომ კი მათ მოწაფეებსა და მოწაფეთა მოწაფეებს) არასოდეს შეუწირავთ მსხვერპლად დროებითი მყვირალა სენსაციებისათვის და „მომგებიანი“ თემებისათვის ჭეშმარიტი მეცნიერული აზრი და პრინციპი.

და ამ თვალსაზრისით ქართული საენათმეცნიერო სკოლა ერთ-ერთ გამორჩეულ მემკვიდრეობას წარმოადგენს ჩვენს ეროვნულ მეცნიერებებს შორის. მისი შეუბღალავი ავტორიტეტი როგორც შიდა, ისე საერთაშორისო მასშტაბით სწორედ მკაცრი ემპირიზმისა და მეთოდოლოგიური სიზუსტის პრინციპებს ეფუძნებოდა.

— რას მიანიშნებთ? ენათმეცნიერების სფეროს ეკუთვნის ის შედეგები (ენობრივი მონაცემების ციფრული გამოთვლები), რომელსაც „სხვა რაკურსის“ გამომსვლელები გვთავაზობდნენ?

— არა! ამას იმიტომ გავხაზავთ, რომ ამჯერად „სხვა რაკურსის“ მიერ წარმოჩენილი რესპონდენტები ენათმეცნიერების სახელითა და პრეტენზიით გამოდიოდნენ. კერძოდ, ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, პროფესორმა ალეკო ცინცაძემ ბრძანა, რომ მისი კვლევები ენათმეცნიერებას ეკუთვნის, მეტიც, იგი ქმნის „ასტრონომიულ ენათმეცნიერებას“!.. წარმოუდგენელია, ვინმემ დაიჯეროს, რომ „მზის“ ქართულ სახელში თურმე უძველესი სამყაროული ცოდნაა „დაშიფრული“, რაკი მისი თანხმოვნები „მზ“ ციფრულად 47-ს უდრის, ეს კი მზის გადახრის კუთხე ყოფილა! და თუ მართლაც დაიჯერებს ამას წიგნიერი საზოგადოება, მაშინ წყალში ჩაყრილა დედაუნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ამდენი ხნის ღვაწლი... ღმერთმა დაგვიფაროს!..

გვინდა, „იმედის“ მრავალრიცხოვანმა ტელემაყურებელმა იცოდეს, რომ ის საკითხები, რასაც ბატონი ა. ცინცაძე თავის გამოსვლაში შეეხო, არცერთი ასპექტით არ არის დაკავშირებული კლასიკურ ენათმეცნიერებასთან, მეტიც, საერთაშორისო მასშტაბით არსებულ აკადემიურ მეცნიერებათა კლასიფიკატორებში ვერსად ნახავთ მის მიერ დასახელებულ გემატრიასა და კაბალისტიკას, როგორც მეცნიერების დარგსა თუ სფეროს. ამიტომაც არის უხერხული ანტის, ბატონი აკაკი გასვიანის სახალისო ეტიმოლოგიებს ნებისმიერი ორი ენის ნებისმიერი სიტყვების შემადგენელი ნებისმიერი ბგერების ურთიერთდაკავშირებით, მასზე ენათმეცნიერული ასპექტით მსჯელობაც კი წარმოუდგენელია.

— ფაქტია, რომ ასეთი ინფორმაციები ხშირად ხდება პოპულარული, მით უფრო, რომ ისინი უპირატესად ეროვნულ-პატრიოტულ სიმებს ეხება, როგორც იტყვიან, გულს ხვდება.

— გეთანხმებით, სენსაციების უდიდესი ნაწილი ძირითადად ამ გრძნობებზეა გათვლილი. „გულის ფხანაზე“ რასაც წმინდა ილია მართალი ამბობდა, კარგად მოგეხსენებათ. მთელმა ჩვენმა ერმა მართლაც რომ დედაგულიანად დაიჯეროს, რომ ევროპული მოსახლეობა აქედან ყოფილა მიგრირებული და არა მხოლოდ ფესტოს დისკოა ჩვენი შექმნილი, ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ანბანიც და მსოფლიოს ენებიც ქართულიდან (უფრო სწორად, „საერთოქართველური“ იბერიულიდან!) მომდინარეობს, რას ვუპირებთ დანარჩენ მსოფლიოს, ნუთუ ისინიც ასე ბრმად დაგვიჯერებენ ჩვენს ერთადერთობასა და ყოველთა უწინარესობას?! თანაც, რატომ გვგონია, რომ იმათი მოსენსაციე „მეცნიერები“ ჩვენებს ჩამოუვარდებიან ტრანსცენდენტური „ფაქტების“ გამოგონებაში? ჩვენს სახელოვან მეცნიერებს არცთუ ურიგო გაკვეთილები ჩაუტარებიათ ამ კატეგორიის „მკვლევრების“, ჩვენი ერისა და ისტორიის „კეთილისმყოფელების“ სამხილებლად. ხოლო ჩვენი ეროვნული ქართველოლოგიის ღირსება იმაშია, რომ მისკენ უბოდიშოდ ვერავინ გამოიშვერს თითს...

— იქნებ იმიტომაც გამოაქვთ ამ მეცნიერებს ტელეშოუებში თავიანთი ძიებები, რომ ისეთი ავტორიტეტული სამეცნიერო საზოგადოება, როგორიც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაა, ყურადღებას არ აქცევს, არ უსმენს მათ?

— საფრანგეთის ეროვნულ აკადემიას ჯერ კიდევ ორი საუუკუნის წინათ ჰქონია გამოცხადებული, — ეტიმოლოგიები და „პერპეტუუმ მობილეს“ პროექტები არ მიიღებაო! ეს იგავად; ხოლო რაც შეეხება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, მას არასოდეს შეუზღუდავს ნებისმიერი მოქალაქის მონაწილეობა სამეცნიერო აზრის გაცვლა-გამოცვლაში. ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ დიდად უსამართლოა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მისამართით გამოთქმული საყვედური, თითქოსდა ის უყურადღებობას იჩენდეს განსხვავებული აზრის მიმართ. აკადემიის კარი ღიაა არატრადიციული კვლევების მისაღებადაც და მოსასმენადაც და სამეცნიერო განყოფილებები შესაძლებლობის ფარგლებში უყურადღებოდ არ ტოვებენ „ახალ იდეათა“ ცალკეულ ავტორებსა თუ ჯგუფებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უაპელაციოდ დავეთანხმოთ იმ მოსაზრებებს, რომელთა არგუმენტად ოდენ პატრიოტული პათოსია წარმოდგენილი და არა მეთოდური გამართულობა და ემპირიული საფუძვლიანობა. მეცნიერებათა აკადემია კონიუნქტურისთვის ნამდვილად ვერ დათმობს ეროვნული მეცნიერების მართლაც ფასეულ მონაპოვრებს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმმა სპეციალურ სხდომაზე ყურადღებით მოუსმინა ბატონ ა. ცინცაძეს (ასევე, სხვა დროს, მის კოლეგას, ბატონ რაულ გვეტაძეს), მაგრამ იგი მაინც განაწყენებული დარჩენილა, რაკი ბევრმა მკვლევარმა მაშინ პირუთვნელად გამოხატა ეჭვი ყოველივე წარმოდგენილის მეცნიერული საფუძვლიანობის მიმართ. ამავე დროს, ამგვარი დამოკიდებულების საჯაროდ გამოხატვა არც უფიქრიათ. ნუთუ

მეცნიერული ქართველოლოგიისა და, კერძოდ, მისი თითოეული დარგის სერიოზული საერთაშორისო ავტორიტეტი სწორედ იმით არის განპირობებული, რომ ის მაშინაც კი იცავდა მაღალ საერთაშორისო სტანდარტებს, როდესაც ამას თითქმის შეუძლებელს ხდიდა შექმნილი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ატმოსფერო. და ქართველოლოგიის დიდ მესვეურებს (ივ. ჯავახიშვილს, ა. შანიძეს, გ. ახვლედიანს, კ. კეკელიძეს, ი. ყიფშიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას... შემდგომ კი მათ მოწაფეებსა და მოწაფეთა მოწაფეებს) არასოდეს შეუწირავთ მსხვერპლად დროებითი მყვირალა სენსაციებისათვის და „მომგებიანი“ თემებისათვის ჭეშმარიტი მეცნიერული აზრი და პრინციპი.

მართლა ჰგონიათ ბატონ ა. ცინცაძესა თუ „ჭეშმარიტების“ სხვა მაძიებლებს, რომ მეცნიერებათა აკადემიის მისამართით ტალახის სროლა კვაზიმეცნიერულ კაბალისტიკურ იდეებს ცხოველმყოფელობას მიანიჭებს?!

ჩვენ გვესმის, რომ თანამედროვე ეპოქა თავისუფალი აზრისა და სიტყვის ასპარეზია. ნებისმიერ ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა თავისი ფიქრისა და ჭკუის ნაყოფი დაუბრკოლებლად გაავრცელოს, დაბეჭდოს, გადასცეს... ამიტომაც ადამიანი ყოველდღიურად ათასობით სენსაციურ ინფორმაციას იღებს; მთავარია, მისი გაცხრილვა და ფასეულის გამორჩევა შეძლოს. ამიტომაც მეცნიერების ერთი მოვალეობა ისიც არის, არ დაუშვას ჭეშმარიტისა და რიოშის აღრევა. დღეს უამრავი ელექტრასენსი და თითის შეხებით მკურნალი გამოსულა „არენაზე“, მაგრამ მით უფრო აქტუალური ხდება კლასიკური მედიცინის შენარჩუნება და განვითარება... ფრიად პოპულარულია ასტროლოგია, მაგრამ არავის უფიქრია მას ასტრონომიის ასპარეზი დაუთმოს. ეროვნული მეცნიერება ქვეყანას თუნდაც იმისთვის სჭირდება, რომ ჩვენი მომავლის ცნობიერებას ცრუ წინასწარმეტყველება და მკითხაობა არ დაეუფლოს, რომ ქართველოლოგიის უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები ღირსეულად იქნეს შენარჩუნებული და განვითარებული. ჩვენი მხრივ ნამდვილად ვისურვებდით, რომ ეროვნული მედია, კერძოდ კი ისეთი ძლიერი და პოპულარული ტელეკომპანია, როგორიც „იმედია“, ფსევდომეცნიერების ცალმხრივ ტირაჟირებას არ უწყობდეს ხელს, ამგვარ საეჭვო ვარჯიშებს გაუთვითცნობიერებელ აუდიტორიას „მსოფლიო მნიშვნელობის სენსაციური აღმოჩენების“ ნიშანდებით არ აწვდიდეს. უმჯობესია, ქართული მეცნიერების ჭეშმარიტ მონაპოვრებს მივცეთ მეტი ასპარეზი ჩვენი საზოგადოების გასათვითცნობიერებლად, მომავლის წიგნიერების ასამაღლებლად...

— იმაზე რაღას იტყვით, რაც გადაცემის ერთ-ერთმა რესპონდენტმა ერთგვარ დასკვნად თქვა: რაკი მეცნიერებათა აკადემიაში არ გვისმენენ, დროა, მეცნიერებათა ალტერნატიული აკადემია შეიქმნასო!

— რა გითხრათ? ამას მხოლოდ ასეთი პასუხი შეეფერება: თუკი ე.წ. კაბალისტები და გემატრისტები და „გაფანტულ მეცნიერებათა“ სხვა წარმომადგენლები ერთმანეთთან საერთო ენას გამონახავენ და რაღაც პრინციპებზე მაინც შეჯერდებიან (რასაც მაინცდამაინც საიმედო პერსპექტივა არ უჩანს), მათ მართლაც შეუძლიათ კიდევ ერთი აკადემია შექმნან საქართველოში; ოღონდ ეს (ა. ცინცაძის სიტყვებისამებრ) „მეცნიერებათა ალტერნატიული აკადემია“ კი არა, არამედ „ალტერნატიულ მეცნიერებათა აკადემია“ იქნებოდა!..

* * *

„სხვა რაკურსის“ რესპონდენტმა ა. ცინცაძემ ისიც აღნიშნა, რომ გრაკლიანის არქეოლოგიური გათხრები უყურადღებოდაა მიტოვებული, იქ აღმოჩენილი წარწერა კი — დაზიანებული. ამასთან დაკავშირებით მივმართეთ გრაკლიანის არქეოლოგიური კვლევების ხელმძღვანელს, თსუ პროფესორ ვახტანგ ლიჩელს; მან ესეთი განმარტება მოგვცა:

— გრაკლიანის წარწერა აღმოჩნდა 2015 წელს და მისი აღნუსხვის შემდგომ დაიფარა მიწის საკონსერვაციო ფენით, რადგან ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას შეიძლებოდა ძეგლი დაეზიანებინა. ნაგებობა მთლიანად გადაიხურა. იმის გამო, რომ წარწერა თიხის დაბალი ხარისხის მასაზე არის შესრულებული, არსებობდა მისი დაზიანების შესაძლებლობა, მით უფრო, რომ მისი აღმოჩენისთანავე წარწერის დასავლეთ ნაწილს მნიშვნელოვანი, ხოლო ბლოკის შუა ადგილს კი შესამჩნევი განივი ბზარი ჰქონდა (რაც კარგად ჩანს 2015 წლის აგვისტოში გაკეთებულ და ადვილად ხელმისაწვდომ ფოტოზე). წარწერის დაზიანების თავიდან აცილების და მის გადარჩენაზე სრული პასუხისმგებლობის აღების მიზნით 2016 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გავრცელა წარწერის კონსერვაციის შეთავაზება ორგანიზაციებზე, რომელთაც ჰქონდათ საკონსერვაციო ან ქიმიური სამსახურები. ამავე დროს გრძელდებოდა საკითხის განხილვა უცხოელ სპეციალისტებთან (პირადად მე პარიზში შევხვდი საფრანგეთის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს). პარალელურად, მიმდინარეობდა ექსპერიმენტები თიხის სხვადასხვა პერიოდის ნაშთებზე მათი კონსერვაციის მეთოდის შესამუშავებლად. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს თიხის კონსტრუქციების დაცვისათვის შემუშავებული რაიმე საერთო რეკომენდაცია. კონსერვაციის შესაძლებლობა და მეთოდი ყველა შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავებულია კონკრეტული კლიმატური პირობების შესაბამისად (ტემპერატურის ცვლილების დიაპაზონი; სინესტის (სიმშრალის) ხარისხი და ცვალებადობა). ყველგან არის განსხვავებული, აგრეთვე, სამშენებლოდ გამოყენებული მასალის ხასიათი, ქიმიური შემადგენლობა და ხარისხი.

2017 წლის ნოემბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გამოყო შესაბამისი თანხა წარწერის საკონსერვაციოდ. დაგეგმილი სამუშაოები ემყარებოდა მრავალრიცხოვან ექსპერიმენტს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველი საცდელი ფენის პოსტამენტზე (და არა წარწერაზე!) დატანის შემდეგ წარმოიშვა მისი თავდაპირველი ფერის შეცვლის ალბათობა. ამის გამო, წარწერის ავთენტურობის შენარჩუნების მიზნით, გადაწყდა კონსერვაციის პროცესის დროებით შეჩერება.

2018 წლის იანვარში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მიაღწია შეთანხმებას ცნობილ იტალიელ სპეციალისტ სტეფანო ვოლტასთან გრაკლიანის წარწერის კონსერვაციასთან დაკავშირებით. ამ სამუშაოთა პირველი ეტაპი არის თიხის მასის (რომელზეც არის გაკეთებული წარწერა) ხელახალი ქიმიური ანალიზი (რაც 2016 წელს ერთხელ უკვე გაკეთებულია ეგვიპტოლოგიის ინსტიტუტის ქიმიურ ლაბორატორიაში და იმავე წელს გერმანიაში). ამჟამად, წარწერიდან უკვე აღებულია 14 სინჯი ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის ნ. ფოფორაძის მიერ და მიმდინარეობს მისი ანალიზი, რომლის დასრულების შემდეგ, შედეგები გადაეცემა ბატონ ს. ვოლტას და დაიწყება საკონსერვაციო სამუშაოები. ახლა წარწერა კვლავინდებურად დაფარულია მშრალი სილის სუფთა ფენით, აგრეთვე, დამატებითი დამცავი მასალით და გაიხსნება მხოლოდ საკონსერვაციოდ.

2018 წლისათვის უკვე გამოყოფილია არქეოლოგიური გათხრებისთვის საჭირო თანხა და ყველა საფუძველია იმისათვის, რომ ზაფხულში გრაკლიანზე თვისობრივად ახალ აღმოჩენებს ველოდოთ. რაც შეეხება მოპოვებული არტეფაქტების შენახვასა და საზოგადოებისთვის მათ გამოფენას, იგი დაგეგმილია მუზეუმში, რომლის მშენებლობა **(იგი დაფინანსებულია ფონდ „ქართუს“ მიერ)** გრაკლიანზე უკვე დასრულებულია.

აქვე უნდა დავამატო, რომ წარწერის რაობისა და შინაარსის მიმართ ინტერესი მაღალია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მივლინების ფარგლებში ჩემ მიერ ვენეციის კა ფოსკარის (იტალია) და აგრეთვე, ლა კორუნიას (ესპანეთი) უნივერსიტეტებში გაკეთებული მოხსენებების შემდეგ დაიგეგმა სამი სპეციალისტის (ორი იტალიიდან და ერთი ესპანეთიდან) ჩამოსვლა აღმოჩენილი წარწერის დამატებით გამოსაკვლევად .

დაბოლოს, უნდა მივმართო საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც გრაკლიანის სამეცნიერო მხარე აინტერესებს: შეგიძლიათ დამიკავშირდეთ (ტელ: 599 510 809) ნებისმიერ დროს, მოინახულოთ გათხრები და მიიღოთ სრული ინფორმაცია სამუშაო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

აქვე გთავაზობთ **აკადემიკოს ავთანდილ არაბულის** ტელეფონს: 595 333 552.

მეცნიერებს ესაუბრნენ
სპარტაკ ქოგულია,
გურამ გოგიაშვილი

◎ გამოიცა

ორი არგენტინელის ერთი წიგნი

ჟან-პოლ სარტრის „გულისრევა“, მიშელ ტურნიეს „გასპარი, მელქიორი და ბალთაზარი“ და „ელიაზარი, ანუ წყარო და ბუჩქი“, ასევე მირჩა ელიადეს „მარადიული დაბრუნების მითი“ — აი, ჯერ-ჯერობით ეს გახლდათ დღემდე ახალგაზრდა გამომცემლობა „ალეფის“ მიერ გამოცემული წიგნების მოკლე სია. ახლა კი მათ რიცხვს კიდევ მეტად საგულისხმო, უაღრესად გამორჩეულ ავტორთა — ხორხე ლუის ბორხესისა და ადოლფო ბიოი კასარესის ერთობლივად დაწერილი, ერთ წიგნად შეკრული ოთხი ნაწარმოები შეემატა.



მკითხველთა წინაშე ახალი წიგნის წარდგენა გასულ სამშაბათს საქართველოს მწერალთა სახლის სააქტო დარბაზში გაიმართა, რა დროსაც გამომცემელმა **ბექა სამუკაშვილმა** და მთარგმნელმა **ქეთი ჯიშიაშვილმა** დამსწრეთ გამოცემისა და მასში შესულ ნაწარმოებთა ამბავი მოუთხრეს.

ბატონმა ბექა სამუკაშვილმა მოკლედ აღნიშნა, რომ წიგნის გამოცემას თითქმის ყველა ეტაპზე მრავალი დამაბრკოლებელი გარემოების დაძლევა მოუხდა, თუმცა ყველა მათგანის გადალახვა მაინც მოხერხდა და წიგნმა დღის სინათლე იხილა. მან მადლობა გადაუხადა გაწეული სამუშაოსთვის რედაქტორ **ელზა ახვლედიანსა** და ახალგაზრდა ნიჭიერ დიზაინერ **ნინო ჯიჯავაძეს,** რომელმაც წიგნის ყდა დიდი გემოვნებით გააფორმა.

მთარგმნელმა ქეთი ჯიშიაშვილმა კი თავად გამოცემის ავტორთა შესახებ და ნაწარმოებთა შექმნის მოკლე ისტორიაზე ისაუბრა. მან სავსებით სამართლიანად ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ხორხე ლუის ბორხესის სახელთან მთელი სამხრეთამერიკული ლიტერატურა ასოცირდება, იგი არგენტინული ლიტერატურის პატრიარქია, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო სამამულო, არამედ მე-20 საუკუნის მთელ მსოფლიო ლიტერატურაზე. იგი ადოლფო ბიოი კასარესზე თხუთმეტი წლით უფროსი გახლდათ, ანუ მათ შორის განსხვავება მთელი თაობა იყო, მაგრამ რამდენიმე უაღრესად საინტერესო ნაწარმოები მაინც ერთობლივად შექმნეს. ეს ლიტერატურული კავშირი, თავისი განუმეორებლობის მიუხედავად, იმდენად ორიგინული გამოდგა, რომ ტექსტის ქსოვილში ერთი ავტორის ნაწილის მეორისგან გარჩევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუმცა კი დაკვირვებული მკითხველის თვალი გარკვეულ განმასხვავებელ ნიშნებს მაინც შეამჩნევს.

მთარგმნელმა ძალზე საინტერესოდ ილაპარაკა ბორხესისა და კასარესის ურთიერთობებზე, მათი ლიტერატურული შემოქმედების ასპექტებზე, სიღრმისეულად გაარჩია წიგნში შესული ნაწარმოებების სტრუქტურა და თვითმყოფადობა.

როგორც აღვნიშნე, ახალ გამოცემაში ხორხე ლუის ბორხესისა და ადოლფო ბიოი კასარესის ერთობლივად შექმნილი ოთხი ნაწარმოები შევიდა — „ექვსი თავსატეხი დონ ისიდორო პაროდისთვის“, „ორი დაუვიწყარი ფანტაზია“, „მოდელი მკვლელობისთვის“ და „მოკლე და უცნაური მოთხრობები“, რომელიც გარკვეული ერთიანი ლიტერატურული სივრცითაა შეკრული. მათი მოკლე დახასიათება, ალბათ, თავად ბორხესის სიტყვებით შეიძლება — მოთხრობის დასაწერად არ არის აუცილებელი, რომ გქონდეს სიუჟეტი, მთავარია, გქონდეს ხედვა.

წინამდებარე მცირე რეცენზია გამომცემლობა „ალეფის“ მიერ დასტამბული წიგნების ჩამონათვალით შემთხვევით არ დავიწყე: სიის სიმწირის მიუხედავად, რაც ყველა ახალწამოწყებული საქმის განუყრელი თანამდევია, დიდად მისასალმებელია უზადო გემოვნება, რომლის წყალობით შერჩეულ ავტორთა ვინაობა უპირობოდ განსაზღვრავს ნაწარმოებთა უმაღლეს სალიტერატურო ხარისხს და — ამაში სავსებით ვარ დარწმუნებული — მომავალი წარმატებული მოღვაწეობის ჩინებული საწინდარია.

ოთარ ტურაბელიძე

მერაბ ნინიძე ამერიკულ სერიალ HOMELAND-ში

მსახიობი მერაბ ნინიძე პოპულარულ ამერიკულ სერიალ Homeland-ში მონაწილეობს. პირველი არხის ინფორმაციით, მსახიობი სერიალის გადაღებებზე იმყოფება.

ქართველი მსახიობი სერიალის მეშვიდე სეზონის მეცხრე სერია Useful Idiot-ში მონაწილეობს. ამ სერიაში ჯერჯერობით მერაბ ნინიძის პერსონაჟის სატელეფონო საუბარი ისმის. მერაბ ნინიძე რუსი დაზვერვის მაღალჩინოსნის მიროვის როლს ასრულებს და მომდევნო სერიებში მაყურებელი მას სერიალის სხვადასხვა სცენებში იხილავს.



ტამერლან თადტაევი: 20 წელიწადი საწოლის ქვეშ იარაღი მედო, რად მინდა ასეთი ცხოვრება?

უწერია თუ არა განხორციელება საქართველოს ხელისუფლების ახალ სამშვიდობო ინიციატივებს?

გასულ კვირას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აფხაზეთისა და ოსეთის მიმართ ახალი სამშვიდობო ინიციატივა — „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გააჟღერა. ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესებაზე მიმართული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც რამდენიმე ამოცანას (ე.წ. გამყოფ ხაზებთან ვაჭრობის გაფართოება, საერთო და ინდივიდუალური ბიზნეს-ინიციატივების მხარდაჭერა, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უფასო სწავლება, ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის სიკეთეებთან წვდომა, თავისუფალი ვაჭრობა) მოიცავს, პარლამენტს უკვე გადაეგზავნა.

„ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მთავრობის მშვიდობიანი პოლიტიკის კურსი გაგრძელდება და, ამავდროულად, ნდობის აღდგენასა და შერიგების პროცესის აქტივიზაციაზე მიმართული ნაბიჯი“, — განმარტა გიორგი კვირიკაშვილმა.

„ერთი მხრივ, ჩვენ ვიქნებით სრულიად შეურიგებელი ადამიანების, მათი უსაფრთხოებისა და სიცოცხლის წინააღმდეგ გამიზნული ქმედებების მიმართ, ხოლო, მეორეს მხრივ, გადავდგამთ კიდევ უფრო დიდიმიკურ ნაბიჯებს დაშორიშორებული საზოგადოებების ნდობის მშენებლობისა და შერიგების მიმართულებით“, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილმა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთისა და ოსეთის მიმართ სამშვიდობო ინიციატივები ადრეც არაერთხელ გაუჟღერებია.

ქეთევან ციხელაშვილის წინამორბედ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, ეს წინადადებები ძალიან კარგია, თუმცა მათში სიახლე ნაკლებადაა და, გარდა ამისა, წარდგენის ფორმის გამო ნაკლებსავარაუდოა, ისინი შედეგიანი აღმოჩნდეს:

„დიდი ხანია, მოდიოდა ეს იდეები, ჩემს დროს იდეებად იყო და ქალბატონმა ციხელაშვილმა მშვენივრად დაასრულა პროცესი. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც წინა წინადადებებმა არ იმუშავა, ესეც არ იმუშავებს. ვფიქრობ, ერთბაშად მოვკალით ძალიან ბევრი კარგი წინადადება, რადგან ღია პრეზენტაცია არ უნდა ყოფილიყო. ის ფორმა, რომლითაც ეს წინადადებები გაჟღერდა, ანუ „შეფუთვა“, ჩემი აზრით, ძალიან ჰგავდა „ნაციონალური მოძრაობის“ სტილს — საერთაშორისო საზოგადოების თვალში საუკეთესოდ წარმოსაჩენად გადადგმულ ნაბიჯს, ანუ ოსებსა და აფხაზებს კი არ ვეუბნებით, მსოფლიოს ვეუბნებით, რას ვთავაზობთ აფხაზებსა და ოსებს. ჩემი მინისტრობის პერიოდში დავიწყეთ ჯანდაცვის პროგრამის განხორციელება. მაშინ ჩვენ არ გაგვიცხადებია, რომ აფხაზებისა და ოსებისთვის განსაკუთრებულ პროექტს ვაკეთებთ, არადა, ნამდვილად ასე იყო. თავის მოწონების პოლიტიკა არ ყოფილა ჩვენი მხრიდან და ამიტომაც იმუშავა პროგრამამ. რატომ არ იმუშავა ნეიტრალური პასპორტების პროგრამამ? — რადგან მათ ურჩევნიათ, საერთო ქართულ პროექტში იყვნენ ჩართულები, რაც საერთოა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, ვთქვათ, ჩვეულებრივი ქართული პასპორტი აიღონ, ვიდრე მხოლოდ მათზე გათვლილ პროექტში აღმოჩნდნენ ჩართულები“.

ახალი ინიციატივების უდიდეს ნაწილს კრახს უწინასწარმეტყველებს რუსი პოლიტოლოგი და პუბლიცისტი ანდრეი ეპიფანცევიც. იგი დარწმუნებულია, რომ დე ფაქტო ხელისუფლება და მასთან ერთად მოსკოვიც მსგავსი ქართული ინიციატივების პრაქტიკულ რეალიზებას უბრალოდ არ დაუშვებენ:

„ქართულმა მხარემ აშკარად არ გაითვალისწინა ისეთი მნიშვნელოვანი მომენტი, როგორიცაა ამ ინიციატივების განხორციელების პირობები. თუ ისეთ ადამიანურ პროექტს, როგორიც სამედიცინო მომსახურებაა, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება კიდევ ეგუებოდა — უბრალოდ არ შეეძლო, არ შეჰგუებოდა, სხვა ინიციატივებთან მიმართებაში მსგავსი დამოკიდებულება ნაკლებად არის მოსალოდნელი. ძნელი წარმოსადგენია, მაგალითად, თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ცხინვალში დაბრუნდეს და იქ სამსახურში აიყვანონ რომელიმე საბიუჯეტო ორგანიზაციაში და მით უფრო სახელმწიფო სამსახურში, შემიძლია, დავუშვა გარკვეულ პირობებში საზღვრისპირა ვაჭრობის აქტივიზაცია — რაღაც „ერგნეთი 2“-ის მსგავსი. ამ მხრივ ძვრები შეიძლება, იყოს, თუმცა რამდენად მნიშვნელოვანი — ჯერ კიდევ საკითხავია. აი, რაიმე უფრო სერიოზულს კი, რაიმე ბიზნეს-ინიციატივებს — საქართველოში გარკვეული პროექტების რეალიზებისთვის კრედიტების აღებას, მაგალითად, ძირშივე გამოვრიცხავ. რაში უნდა გამოიყენოს მეწარმემ ეს კრედიტი? ხელისუფლება ხომ ძირშივე ჩაახშობს ნებისმიერ ოსურ ბიზნეს-წამოწყებას, რომელიც საქართველოში აღებული კრედიტით დაიწყება! რაც შეეხება მოსკოვს, რუსეთი ამ ინიციატივებთან მიმართებაში თავის პოზიციას საჯაროდ არ დააფიქსირებს, რადგან მისი მრავალწლიანი ოფიციალური პოზიცია შემდეგში მდგომარეობს: ჩვენ ხელს არ ვუშლით საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობებს, თქვენ ერთმანეთში უნდა მოილაპარაკოთ, ჩვენ კი მზად ვართ, ნებისმიერი ვარიანტი განვიხილოთ. თუმცა ოფიციალურ დონეზე, ვფიქრობ, იქნება მოლაპარაკება ამ რესპუბლიკების ხელმძღვანელობებთან, ეს ინიციატივები უკუაგდონ და ყოველმხრივ შეეწინააღმდეგონ მათ რეალიზებას, გარდა ზოგიერთი ჰუმანიტარული მომენტისა, როგორიცაა, მაგალითად, უფასო მკურნალობა“.

მართლაც, დე ფაქტო ხელისუფლებებმა ერთმანეთის მიყოლებით იჩქარეს, განეცხადებინათ, რომ ოფიციალური თბილისის სამშვიდობო პოლიტიკის არ სჯერათ, რომ ახალი ინიციატივები სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე კეკლუცობა და რომ არც აფხაზეთი, არც ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ მორიგ „სატყუარას“ არ წამოეგებიან.

აი, ოსურ და აფხაზურ საზოგადოებებში კი თბილისის ინიციატივებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა.

ოსი მწერალი ტამერლან თადტაევი ახალ ქართულ პროექტს მიესალმება, თუმცა თვლის, რომ შიშისა და უნდობლობის გამო ოსები უახლოესი წლების განმავლობაში თბილისის მსგავსი ინიციატივების მიღებას ვერ შეძლებენ:

„ძალზე საინტერესო ინიციატივებია. პირადად ჩემთვის მართლაც საინტერესოა. მახარებს, რომ საქართველოში რაღაც ცვლილებები ხდება, რაღაც პროცესები მიდის, რომ საქართველოს მსგავსი სამშვიდობო წინადადებები შემოაქვს. მაგრამ მუდმივად მეფიქრება, ხომ არ წარმოიშობა ამ ფონზე ახალი გამსახურდია ან სააკაშვილი? ჩვენ ხომ უკვე ყველაფერი გავიარეთ — კარგიც, ცუდიც და ყოველ ჯერზე ყველაფერი რატომღაც ცუდად მთავრდებოდა. ქართველებმა ოსების სისხლი შეაშინეს, გესმით? 20 წლის განმავლობაში საწოლის ქვეშ იარაღი მედო. რად მინდა ასეთი ცხოვრება? და მთელი ამ ხნის განმავლობაში გვესმოდა, „მშვიდობა და მეგობრობაო“, სანამ ერთხელ ხოცვა არ დაგვიწყეს... ამან რომ გაგვიაროს, დროა საჭირო. ვფიქრობ, უახლოეს ხანებში მაინც ოსები არანაირ ქართულ წინადადებებს არ მიიღებენ“.

რიგითი ცხინვალელების უმრავლესობის აზრით, ეს ინიციატივები უფრო მეტად ახალგორელებზეა გათვლილი, რომლებიც, ვინაიდან ოსურის გარდა, ქართული პასპორტიც აქვთ, თავისუფლად გადადიან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სწავლობენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ისე, რომ ამის გამო არავინ კიცხავთ, თავისუფლად შეუძლიათ, აიღონ კრედიტი ბიზნესის განვითარებისთვის და ახლაც გახსნილი აქვთ გზა ევროპისკენ.

ბევრი რიგითი აფხაზისთვის კი თბილისის ახალი ინიციატივები სრულიად მისაღებია, რაზეც აფხაზური ინტერნეტ-ფორუმების მომხმარებელთა კომენტარები მეტყველებს.

გაიზიარებს თუ არა საქართველოს ხელისუფლების ინიციატივების ეს პაკეტი წინამორბედთა ბედს, დრო გვიჩვენებს.

„აქცენტი“

500-მდე პაციენტია მოწამლული

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ინფორმაციით, სირიის ქალაქ დუმაში მომწამლავი ნივთიერების ზემოქმედების სიმპტომებით ექიმებს 500-მდე ადამიანმა მიმართა. ორგანიზაციას ინფორმაცია ადგილობრივმა პარტნიორებმა მიაწოდეს. საერთაშორისო ორგანიზაცია სირიის ქალაქ დუმაში წვდომას ითხოვს, რათა გადაამოწმოს ინფორმაცია რა სახის ქიმიური იარაღი იყო გამოყენებული. ორგანიზაციის ცნობით, 70 ადამიანი, რომლებიც სარდაფში იყვნენ, დაიღუპნენ. 43 მათგანს ძლიერი ტოქსიკური ნივთიერებით ზემოქმედების სიმპტომები ჰქონდათ.

ტრამპი რუსეთს მოუწოდებს, ამერიკული რაკეტების ჩამოსაგდებად მოემზადოს

ტრამპი რუსეთს მოუწოდებს, სირიის დასაბომბად გაშვებული ამერიკული რაკეტების ჩამოსაგდებად მოემზადოს, ამის შესახებ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა Twitter-ის საკუთარ გვერდზე დაწერა.

„რუსეთი პირობას იძლევა, რომ სირიისკენ გაშვებულ ყველა რაკეტას ჩამოაგდებს. რუსეთო გაემზადე, იმიტომ რომ ისინი მოფრინდებიან — კარგები, ახლები, ჭკვიანები! თქვენ გაზით მკვლელი მხეცების პარტნიორები არ უნდა იყოთ, რომლებიც კლავენ ხალხს და ამით სიამოვნებას იღებენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებას ეხმაურება — „ჭკვიანი“ რაკეტები ტერორისტების მიმართულებით უნდა მიფრინავდნენ და არა კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც რამდენიმე წელია, საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვის საკუთარ ტერიტორიაზე“, — აცხადებს მარია ზახაროვა.

გერმანია სასაზღვრო კონტროლს აგრძელებს

— გერმანია გააგრძელებს სასაზღვრო კონტროლის რეჟიმს, პირველ რიგში ავსტრიის საზღვრებთან უსაფრთხოების მიზნით, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა გუშინ მინისტრთა კაბინეტის გასვლით სხდომაზე. „ჩვენ ასევე განვიხილეთ სასაზღვრო კონტროლის რეჟიმის მორიგი გაგრძელება. პირველ რიგში, ავსტრიის საზღვარზე, უსაფრთხოების მიზნით და ამ მიმართულებით შესაბამის დავალებას ბრიუსელს წარვუდგენთ“, — განაცხადა მერკელმა.

ალჟირში ავიაკატასტროფისას დაღუპულთა რიცხვი იზრდება

ალჟირის ჩრდილოეთით სამხედრო თვითმფრინავის კატასტროფის ადგილზე 247 ცხედარია ნაპოვნი, ინფორმაციას ალჟირელ სამხედროებზე დაყრდნობით ადგილობრივი მედია ავრცელებს. ალჟირის საჰაერო ძალების თვითმფრინავი ილ-76 აფრენიდან რამდენიმე წუთში ჩამოვარდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მასში 250 სამხედრო იმყოფებოდა. წინასწარი ვერსიით, კატასტროფის მიზეზად ტექნიკური გაუმართაობა სახელდება.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გაბრიელაშვილის და ომარ ზაქაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გაბრიელაშვილი (პ/ნ 16001026635), დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 71.56.11.018.01.009).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ომარ ზაქაიძე (პ/ნ 65404000594), დუშეთი, ერეკლე II ქ. №109;
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
დუშეთი, ერეკლე II ქ. №109 (საკადასტრო კოდი: 71.51.02.286).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 14514.32 ლარი.
4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად.
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 20 აპრილი, 17:00 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** ი/მ „ლევან სალუქვაძე“ (პ/ნ 33001026225), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68;
ნუგზარ შარაბიძე (პ/ნ 23001000020), თბილისი, გლდანის 3 მ/რ, კორპ. 13, ბინა №35;
გიორგი ზაქაიძე (პ/ნ 16001007053), დუშეთი, ერეკლე II ქუჩა №109;
შპს „გაბრო“ (ს/კ 429320727), დუშეთი, მწიოურის 49;
შპს „ულუ“ (ს/კ 437062081), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 20 აპრილის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ზაზა ნიკოლაიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა ნიკოლაიშვილი (პ/ნ 42001002898), ფოთი, აღმაშენებლის 30/3.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, დ. აღმაშენებლის 30, სართული 3, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 04.01.09.672.01.009).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 13709.69 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2018 წლის 12 აპრილი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2018 წლის 27 აპრილი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP51245218;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 512452
6. **მოვალე:** ზაზა ნიკოლაიშვილი (პ/ნ 42001002898), ფოთი, აღმაშენებლის 30/3.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP51245218; ლოტის ნომერი: 512452).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 27 აპრილის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ოღონდ კაცი არ მოკლა და...

(მესამე გვერდიდან)

დააკვირდით, როგორ ტრიალებენ ისინი ყოფილი თუ მერმინდელი პრემიერების, პრეზიდენტის სატელევიზიო ინტერვიუებისას მათ უკან და მოგვძახიან: „შემომხედეთ, დამიმახსოვრეთ, მე აქ ვარ, მე ისევ ის ვარ!“ ასე იყო მოქალაქეთა კავშირის, ნაციონალური მოძრაობის, ზეობის წლებშიც – ესენი ყველგან არიან, ყველგან ურევენ თაფლში კუპრს, დღეს „ქართული ოცნების “ კასრს მისდგომიან და ამითაც აკნინებენ პარტიის ღირსებას: ქვეყანაში დაიკარგა კონტროლის ინსტიტუტი. ოღონდ კაცი არ მოკლა, ოღონდ ნარკოტიკის სიყვარული მეტროსა, თუ ავტობუსში არ გამოამჟღავნო და... მიდი, იბაირამე!

ასე მეჩვენება, რომ დღეს პარტიასა და მის ლიდერს ოპოზიციაზე (ხელისუფლების როლისა და ადგილის დამცრობა მათი მოწოდებაც არის!) ნაკლებ ნეგატიურ სამსახურს არ უწევენ „ქართული ოცნებისავე“ ძველი, თუ ახალი აქტივისტები. იციან, თუ რაოდენი პატივისცემით სარგებლობს მათი პარტიის ლიდერი ხალხში და საზოგადო შეკრებებზე, ყრილობებსა თუ არჩევნებზე აუდიტორიას, სწორედ ბ. ივანიშვილის თანამებრძოლებად, მისი იდეების მსახურებად, დამცველებად წარუდგებიან და როგორც კი მიზანს მიაღწევენ, ე.ი. ივანიშვილის ავტორიტეტით სავარძელში მოკალათდებიან, თითქმის იმის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, რასაც ხალხს დაჰპირდნენ.

> თავიდათავი კი მაინც „ოცნების“ დამფუძნებლისა და პარტიის ლიდერის საკითხია. ღრმად ვარ დარწმუნებული: ბიძინა ივანიშვილი ამ წლებში კვლავაც იქ რომ ყოფილიყო, სადაც 2012-13 წლებში გახლდათ, პროცესები სულ სხვაგვარად წარიმართებოდა და დღეს სხვა რეალობის წინაშე ვიქნებოდით – საქმე უნდა განაგრძოს და ბოლომდე უნდა მიიყვანოს იმან, ვინც წამოიწყო. როგორც თავად წერს, ბიძინა ივანიშვილს, რასაკვირველია, შეეძლო მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო და მშვიდად მოეჭამა წუთისოფელი – ქვეყნისთვის, ხალხისთვის იმდენი უკეთებია, ბუზსაც ვერავინ აუფრენდა, მითუმეტეს, როგორც მსმენია და დრომაც დაადასტურა, ტაშისა და ქება-დიდების მოყვარული არ ჩანს. მაგრამ, როცა სამშობლო გასაჭირშია, მისნაირ ადამიანებს მშვიდი ძილი არ ძალუძთ.
>
> და მან გადადგა ურთულესი ნაბიჯი.
>
> არავისთვის არ იძნება მოულოდნელი, თუ ვიტყვი, რომ ბადრი პატარკაციშვილს ამგვარი ნაბიჯის გადადგმა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ბიძინა ივანიშვილმა კი გაუძლო და წარმატებასაც მიაღწია.
>
> წარმატებას და არა გამარჯვებას!
>
> გაუმარჯვებლობის მთავარ მიზეზად კი მის მიერ გადადგმული ნაბიჯის ნაადრევობა მიმაჩნია. ჩვენ არ ვცხოვრობთ დახვეწილი დემოკრატიის ტრადიციების ქვეყანაში, თუმცა, მაშინ, 2013 წელს, ამ ნაბიჯის ნაადრევობა არც ისე ადვილი ამოსაცნობი იყო. დღეს კი...
>
> დღეს ფაქტი სახეზეა და ქვეყანა საშველად უხმობს მას, ვისაც ასე თუ ისე შესწევს ძალა შველისა.

ჩემი თეზის დასადასტურებლად, ისრაელის ისტორიის ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო: საყოველთაოდ ცნობილია, დავით ბენ გურიონმა თუ რაოდენ დიდი როლი ითამაშა ებრაელი ხალხის სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში. იგი გახლდათ სიონისტური მოძრაობის ლიდერი და სიონიზმმა 1948 წლის 14 მაისს სწორედ მისი მეთაურობით, აღადგინა თითქმის ოცი საუკუნის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა. ბენ გურიონი პრემიერ-მინისტრი გახდა. არც ისე რთული წარმოსადგენია, რაოდენ დიდი ძალისხმევა იყო საჭირო ქვეყნის შენებისათვის, მით უმეტეს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის მეორე დღესვე – 15 მაისს ისრაელის წინააღმდეგ ხუთი არაბული სახელმწიფო დაიძრა, რათა ძირშივე ჩაეკლათ ებრაელთა სახელმწიფოს სიცოცხლე. და ის, რაც მოხდა, კანონზომიერებას თითქმის არ ემორჩილება – ისრაელმა მტერიც მოიგერია და სახელმწიფოს შენებასაც შეუდგა. ამჯერად არ ვხედავ აუცილებლობას, ვისაუბრო იმაზე, თუ რამდენი გასაჭირი გამოიარა ქვეყანამ. რამდენიმე ხანში სახელმწიფოებრიობის აღმდგენმა დავით ბენ გურიონმა არჩევნები წააგო. დიდი მოთქმა-გოდება არ დაუწყია, არც გამარჯვებულთა ლანძღვა-გინება. წავიდა. წავიდა, მაგრამ...1955 წელს არაბული სახელმწიფოების ტერორმა ისე იმძლავრა – მთელ სახელმწიფოში მშვიდობიან მოსახლეობას ესხმოდნენ თავს – ადამიანებს ყელს ღადრავდნენ, აფეთქებდნენ სახლებს, საკომუნიკაციო საშუალებებს, ფაბრიკა-ქარხნებს, ტრანსპორტს და ა.შ. სახელმწიფოს არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა. მუხლებში ჩაუვარდნენ დავით ბენ გურიონს: ვიღუპებით, გვიშველეო. მთავრობაში მობრუნდა – თავდაცვის მინისტრის პორტფელი ჩაიბარა, ტერორი ალაგმა, მერე პრემიერ-მინისტრიც გახდა და ქვეყანა კვლავ განვითარების გზას დაადგა, მაგრამ, როცა მომდევნო არჩევნებში კვლავ დამარცხდა, ნეგევის უდაბნოს მიაშურა – კიბუც „სდე ბოკერში“ დაიდო ბინა, ფიზიკურ შრომასაც ეწეოდა და როცა გარდაიცვალა, იქვე დასაფლავდა. დღეს მისი საფლავი საკულტო ადგილია, ათასობით ადამიანი უყრის მუხლს. გასული საუკუნის 90-იან წლებში სახელმწიფოს იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის იცხაკ შამირის მიპატიჟებით მეც ვიყავი ბენ გურიონის საფლავთან. დიდძალი ხალხი გახლდათ.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რატომ მოვიგონე დავით ბენ გურიონის ხელისუფლებიდან წასვლისა და მობრუნების ამბავი. იმდროინდელი ისრაელის ბედი საქართველოს ღმერთმა აშოროს, მაგრამ არც ის არის აღმოჩენა, რომ დღეს ქვეყანას მიხედვა უნდა.

მიმართვის დასასრულ ბ.ივანიშვილი წერს: „წინ არჩევნებია, როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო. ვინაიდან მოყვარეცა და მტერიც, ყველაფერს, კარგსაც და ავსაც, მე მაწერენ, ახლა საგონებელში ვარ, მართლაც ხომ არ აჯობებს, ერთი ვადით, პრეზიდენტად ვიყარო კენჭი.“

ბიძინა ივანიშვილს პრეზიდენტობა ისე სჭირდება, როგორც წვიმით დამგალ, გამაძღარ მიწას წვიმის ახლი თქეში, მაგრამ როგორც ჩანს, მან იგრძნო ამ ძნელი ნაბიჯის გადადგმის მკაცრი აუცილებლობა და ეს ძალიან კარგია. კარგია, რადგან მისი პრეზიდენტად მობრუნება სჭირდება უაზრო პოლიტიკური ლაპარაკით, სიძულვილის ენით, დაპირისპირებით, მომრავლებული, არაფრის მაძნისი პარტიებით დაღლილ საქართველოს მოსახლეობას.

გურამ ბათიაშვილი,
მწერალი

რედაქციისგან:

ძვირფასო მკითხველო! როცა ასეთ გულწრფელ და პრინციპულ წერილს წაიკითხავ, კიდევ ერთხელ დარწმუნდები, თუ როგორ ჰაერივით სჭირდება ხალხს ბიძინა ივანიშვილის ხმის გაგონება, მისი პოლიტიკაში, ხელისუფლებაში მობრუნება და კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, 1 აპრილს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილი-მიმართვა საპირველაპრილო ჟურნალისტური ფანდი იყო თუ არა, მთავარია ხალხის განწყობა, ერის რჩეულ შვილთა ერთმნიშვნელოვანი სურვილი – ისევ გააქტიურდეს ნაციონალური ჯოჯოხეთის დამსამარებელი ბიძინა ივანიშვილი...

◎ ჩოგბურთი

მოგებით დაიწყო

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი მაროკოში გრუნტზე მიმდინარე მარაკეშის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს.

მან ძარითადი ბადის სასტარტო შეხვედრაში იტალიელი მარეი ბერეტინი 7:6, 6:4 დაამარცხა. მატჩი საათსა და 36 წუთს გაგრძელდა. სადებიუტო სეტის ტაი-ბრეიკზე ჩვენებურმა მეტოქეს იოლად 7:2 აჯობა, მეორე პარტიაში კი 4:4-ზე გადამწყვეტი ბრეიკი შეასრულა. ნიკოლოზს 2 ეისი ჰქონდა და პირველი ჩაწოდებიდან ქულების 79%-ს იგებდა, რაც ნორმალური შედეგია.

1/8-ფინალში ბასილაშვილი გერმანელ ფილიპ კოლშრაიბერსა და „უაილდ ქარდის“ მქონე მასპინძელ ლამინე ოუაჰაბს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ტურნირის საპრიზო ფონდი ნახევარი მილიონი ამერიკული დოლარია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

მგლური რევანში

1984 წელს მარადიულ ქალაქში საფეხბურთო ტრაგედია მოხდა — „რომა“ მშობლიურ „ოლიმპიკოზე“ ჩემპიონთა თასის ფინალში „ლივერპულთან“ პენალტების სერიაში დამარცხდა (ძირითადი დრო — 1:1. გოლები. პრუცო, ნილი). მაშინ მასპინძელთა მაისურით ფალკაო, ბერგრენი და გრაციანი ბრწყინავდნენ, მაგრამ ტიტულის მოსაპოვებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ლეგენდარულმა ფრანჩესკო ტოტიმ აპენინებზე მთელი ეპოქაც შექმნა, თუმცა, ევროპულ საკლუბო ოლიმპს „მგლები“ ისე აღარ მიახლოებიან.

ხომ გსმენიათ — მოთმინებითა შენითაო. და აი, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ იტალიური გრანდი ელიტურ კვარტეტში დამკვიდრდა და, ვინ იცის, იქნებ ეუსებიო დი ფრანჩესკოს თავკაცობით აიხდინოს ძველი ოცნება.

„რომა“ — „ბარსელონა“ 3:0
(პირველი მატჩი 1:4)

გოლები: ჯეკო, დე როსი (პენალტი), მანოლასი.

წარმატებასაც ხომ გააჩნია. მოგეხსენებათ, კატალონიელები ესპანურ ლა ლიგაში მიმდინარე სეზონში ჯერაც დაუმარცხებელნი არიან, თანაც ერნესტო ვალვერდემ დაცვის თამაში დააბალანსა, რაც აქამდე ნოუ კამპის ბინადართა აქილევსის ქუსლად მიიჩნეოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე გვეგონა, მაგრამ თურმე ვცდებოდით. სხვაგვარად ძნელია შეაფასო სპასუხო რაუნდში განვითარებული მოვლენები. დიახ, ურემი სწორედ იმ დროს გადაბრუნდა, როცა არავინ ელოდა.

სიმბოლურია გოლების ავტორთა ვინაობაც — როგორც იცით, ბოსნიელმა ბომბარდირმა სტუმრადაც გაიტანა გოლი, ხოლო მისმა პარტნიორებმა საკუთარი კარი დალაშქრეს.

არადა, თუ ობიექტურად მივუდგებით საკითხს, მთლად სენსაციადაც ვერ მოვნათლავთ იმ დრამას, რაც სამშაბათ საღამოს დატრიალდა — ალბათ, გულშემატკივარს ემახსოვრება, რომ სწორედ „რომამ“ მიაყენა საბედისწერო ჩხვლეტა „სერია — ა“-ს ყოფილ ლიდერ „ნაპოლის“ გასვლაზე — 4:2, რის შემდეგაც ისევ „იუვენტუსი“ დაწინაურდა.

„სიტი“ — „ლივერპული“ 1:2
(პირველი მატჩი 0:3)

გოლები: ჟესუსი; სალაჰი, ფირმინო.

იურგენ კლოპმა წლეულს უკვე მესამედ მოუგო ტაქტიკური დუელი მანამდე წაუგებელ ხოსეპ გვარდიოლას და დაასამარა სასწაულებრივი რევანშის მოლოდინში მყოფი ქალაქელების ქომაგთა იმედები.

სხვათა შორის, მერსისაიდელთა ეგვიპტელმა ჯოკერმა სალაჰმა „იტიჰადზეც“ ივაჟკაცა და პირადი მონაგარი 8 გატანილ ბურთამდე გაზარდა.

.გიორგი შოთაძე

◎ თანამშრომლობა

„ბასკონიას“ კემპი – უკვე მეოთხედ

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისა და „ბასკონიას“ თანამშრომლობა გრძელდება. მასპინძელთა და ესპანური საკლუბო გრანდის საერთო პროექტის ფარგლებში თბილისში მორიგი კემპი დაიწყო, რომლის მიზანიც პერსპექტიულ ქართველ მოთამაშეთა გამოვლენაა.

„ბასკონიას“ კემპი უკვე მეოთხედ ტარდება. პირველად ის 2015 წელს „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა და მასში 180-მა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა. წლევანდელ კემპში 160 ბავშვი გამოიცდება, რომელთა ასაკიც 12-16 წლებში მერყეობს. ვარჯიშებს „ბასკონიას“ სპეციალისტები უძღვებიან, რომლებსაც დახმარებას უწევენ და ამით მდიდარ გამოცდილებას იღებენ ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელები — ირაკლი ძიძიგური, მიხეილ ბერიშვილი, ჯაბა ბაქრაძე, ნიკა ცინცაძე და დავით მუმლაძე.

„ბასკონიას“ კემპი ვერის ბაღის საკალათბურთო კომპლექსში ეწყობა და ვარჯიშები ორივე დარბაზში ერთდროულად მიმდინარეობს. ბასკი მწვრთნელები ქართველ ახალგაზრდებს დილას და დღის მეორე ნახევარში ავარჯიშებენ. პირველ ეტაპზე კემპში მონაწილეობას იღებენ 15-16 წლის კალათბურთელები, შემდეგ კი ასპარეზი 12-14 წლის მოზარდებს დაეთმობათ.

როგორც დასაწყისში ვთქვით, კემპის მიზანი პერსპექტიული მომავალი თაობის გამოვლენაა, რომლებსაც უფრო მაღალ ეტაპზე ასვლისა და განვითარების უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ. ესპანელი მწვრთნელები შეარჩევენ 16 ჭაბუკს, რომლებიც ივლისის თვეში ქალაქ ვიტორია-გასტეისში, „ბასკონიას“ ბაზაზე დაგეგმილ გენერალურ კემპში გაემგზავრებიან. ვიტორიულ კემპში ქართველებთან ერთად იქნებიან ის მოზარდებიც, რომლებიც „ბასკონიას“ მიერ სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ თბილისის ანალოგიურ კემპებზე შეირჩევა. სწორედ ბასკურ კემპზე დასახელდებიან ის მოთამაშეები, რომლებსაც „ბასკონია“ კონტრაქტს გაუფორმებს და მომავალი სრულყოფა-განვითარებისთვის საკუთარ კლუბში დაიტოვებს.

„ბასკონიას“ თბილისური კემპი 9 აპრილს დაიწყო და 14 აპრილამდე გაგრძელდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

გერმანია-პორტუგალია გადაიდო

გერმანიისა და პორტუგალიის ნაკრებთა შეხვედრა, რომელსაც 2019 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეექვსე მონაწილე უნდა გამოევლინა, 28 აპრილს აღარ გაიმართება.

ამის მიზეზი ბელგია-ესპანეთის სკანდალური მატჩია. მსოფლიო რაგბის რეკომენდაციით, ეს თამაში ხელმეორედ უნდა ჩატარდეს. გარდა ამისა, საერთაშორისო საბჭო განიხილავს ბელგიელი და რუმინელი ლეგიონერი მოთამაშეების საქმეს და თუ გაირკვა, რომ რომელიმე მათგანის ნატურალიზება წესების დარღვევით მოხდა, სანქციები გატარდება.

მოკლედ, კარპატელი რეფერის ვლად იორდანესკუს ქმედებებმა დიდი თავსატეხი გააჩინა და, შესაძლოა, ამის გამო ბევრი რამ თავდაყირა დადგეს, მათ შორის ივნისის ტესტ-ბრძოლების განრიგიც, ოღონდ ეს საქართველოს ნაკრებს არ შეეხება.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

მიკელა ბედნიერია

კატალონიის „ბარსელონასთან“ სასწაულებრივი გამარჯვება „რომას“ სხვა მრავალ ქომაგთან ერთად ნამეტანი გაუხარდა იტალიელ მოდელს მიკელა კვადროჩეს, რომელიც ამ გუნდის თავგადაკლული გულშემატკივარი გახლავთ და დი ფრანჩესკოს შეგირდების მას ბოლომდე სჯეროდა.

იგი „მგლების“ ყოფილი მობურთალის ალბერტო აკვილანის მეუღლეა და ეს კლუბი სენიორა მიკელამ ჯერ კიდევ მაშინ შეიყვარა და შეიტკბო, როდესაც წითელი მაისური მის მეუღლეს მოსავდა. შეგახსენებთ, რომ ეს ის დროა, როდესაც რომაელებს ჩემპიონთა ლიგაზე გასვლაც კი საოცნებოდ ჰქონდათ ქცეული.

მიკელა კვადროჩე აპენინებზე ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებული მოდელია. მხოლოდ ის ფაქტი რად ღირს, რომ მილანის ფეშენ-ვიკზე შარშან სწორედ მან გახსნა დასკვნითი ღონისძიება. რომაელთა ამ წარმატებების შემდეგ ღონისძიებების გახსნა თქვენ მომავალში უნდა ნახოთ...

როსტომ რაჭველიშვილი

თბილისიდან რუსთავში მეტროთი თუ ტრამვაით?

საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, მგზავრთა განუხრელად მზარდი ნაკადის გამო, ტრანსპორტის სფეროს სპეციალისტები პერიოდულად ანახლებენ მსჯელობას იმაზე, თუ რა სახის ტრანსპორტით უნდა დაუკავშირდნენ ერთმანეთს რუსთავი და თბილისი – რკინიგზით, მეტროპოლიტენით თუ ტრამვაის ხაზით.

ჯერ კიდევ 1989 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი „თბილისის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გამოკვლევაში“ წერდა, რომ რუსთავის სამრეწველო ზრდასა და შრომითი რესურსებით მისი სამრეწველო საწარმოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შეიძლება შეიქმნას საჭიროება მონორელსიანი გზის მშენებლობისა რუსთავსა და თბილისს შორის. ასეთი რკინიგზის მშენებლობის წინასწარი მონახაზიც კი იქნა შედგენილი, რომლის მიხედვითაც რკინიგზას მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ სამი სადგური ექნებოდა: თბილისში (ბარათაშვილის ხიდთან), აეროპორტში და რუსთავში მეტალურგიული ქარხნის მახლობლად.

სალიანდაგო ხაზი რუსთავის მახლობლად მდებარე სოფელ ყარაჯალამდე ჩადის და იქიდან ძალიან პატარა მონაკვეთია, რომლის დაკავშირება რუსთავთან ერთი ხიდით შეიძლება და მიწისზედა მეტრო ან ტრამვაი თბილისიდან რუსთავამდე ჩავა. სატრანსპორტო ჰაბი შესაძლებელია „სამგორის“ მეტროსთან გაკეთდეს...

გზის სიგრძე უნდა ყოფილიყო 32 კილომეტრი, მონორელსიანი ვაგონის მოძრაობის მაქსიმალური სიჩქარე – 120 კმ საათში. შესაბამისად, თბილისი-რუსთავის გზა დაიფარებოდა 15-16 წუთში. სპეციალისტები იმედოვნებდნენ, რომ გზის გაყვანის შემთხვევაში საგარეუბნო მგზავრთნაკადების დიდი ნაწილი გადაინაცვლებდა მონორელსურ რკინიგზაზე.

თბილისის 1989 წლის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გამოკვლევაში საუბარია ასევე ორი ქალაქის დამაკავშირებელი მეტროპოლიტენის ხაზის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ:

„მომავალში გამორიცხული არ არის თბილისსა და რუსთავს შორის (ტერიტორიული დაახლოების ამჟამად არსებული ტენდენციის გამო) მეტროპოლიტენის ხაზის მშენებლობაც. შესაძლებელია ამ ორი ქალაქის საგარეუბნო ზონაში მეტროპოლიტენის სადგურები მიწისზედა იყოს, რაც მისი მშენებლობის ეკონომიურობას განაპირობებს“.

უნდა ითქვას, რომ თბილისისა და რუსთავის სარკინიგზო ტრანსპორტით დაკავშირების იდეა არ ჩამარხულა საბჭოთა ნანგრევებში. თბილისის მერიაში რადიო „თავისუფლებას“ განუცხადეს, რომ, მართალია, ამ ეტაპზე არ არსებობს არანაირი პროექტი, მაგრამ მერია აპირებს კვლევის ჩატარებას ახალი სატრანსპორტო კავშირის მშენებლობის აუცილებლობის თაობაზე.

„ვგეგმავთ კვლევის ჩატარებას, რათა განისაზღვროს, შესაძლებელია თუ არა მსგავსი პროექტის განხორციელება. კვლევა აუცილებლად ჩატარდება“, – უთხრა რადიო „თავისუფლებას“ **მანანა თოქმაჯიშვილმა,** თბილისის მერიის მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა.

თბილისისა და რუსთავის მიწისზედა მეტროს ან ტრამვაის საშუალებით დაკავშირების იდეას მხარს უჭერდა თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა დავით ნარმანიას მერობის დროს. თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი **მამუკა მუმლაძე,** ამბობდა, რომ, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელების შემთხვევაში, რუსთავამდე მიწისზედა მეტროს ან ტრამვაის მშენებლობას დედაქალაქის განვითარების გენგეგმა ითვალისწინებდა.

„სალიანდაგო ხაზი რუსთავის მახლობლად მდებარე სოფელ ყარაჯალამდე ჩადის და იქიდან ძალიან პატარა მონაკვეთია, რომლის დაკავშირება რუსთავთან ერთი ხიდით შეიძლება და მიწისზედა მეტრო ან ტრამვაი თბილისიდან რუსთავამდე ჩავა. სატრანსპორტო ჰაბი შესაძლებელია „სამგორის“ მეტროსთან გაკეთდეს. აქ მგზავრი ამოვა მეტროდან და შესაძლებლობა ექნება, ჩქარორსნული მიწისზედა ტრანსპორტით რუსთავამდე წავიდეს“, - ასე ესახებოდა პროექტის განხორციელება თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ყოფილ უფროსს მამუკა მუმლაძეს.

რუსთავისა და თბილისის დაკავშირება სწრაფი სარელსო ტრანსპორტით მისაღებად მიაჩნია „ურბანული ლაბორატორიის“ ხელმძღვანელს გიორგი ბაბუნაშვილს, რომლის თქმითაც, მაქსიმალურად ეფექტიანი იქნება, თუ პროექტის განხორციელებისას გამოყენებული იქნება არსებული რკინიგზის ლიანდაგები და მასზე მოძრავი მსუბუქი შემადგენლობა.

„თუ ეს შემადგენლობა იქნება ტრამვაი სპეციალური ვაგონებით, რომლებიც იმოძრავებენ როგორც სარკინიგზო, ასევე ქალაქის ტრამვაის ლიანდაგზე, მაშინ სავსებით მისაღებია. ადამიანები მიიღებენ ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან რუსთავში და მცხეთაში მოხვედრის საშუალებას სწრაფი და ეკოლოგიური ტრანსპორტით. მაგალითად გამოდგება ქალაქ კარლსრუეს გამოცდილება გერმანიაში, სადაც ე.წ. ტრამვაი-მატარებლები მოძრაობენ. ასეთ მატარებელს შეუძლია ქალაქში მოძრაობა (თუ იქნება ტრამვაის შესაბამისი ქსელი) და შემდეგ რკინიგზის ლიანდაგზე გადასვლა“, უთხრა გიორგი ბაბუნაშვილმა რადიო „თავისუფლებას“.

ვითარება ბევრად გართულდება, თუკი არჩევანი თბილისის მეტროპოლიტენის დაგრძელებაზე გაკეთდება, რადგანაც მეტროპოლიტენი და რკინიგზა, განსხვავებული ელექტრომომარაგების, სიგნალიზაციისა და ბლოკირების სქემების გამო, სრულებით არათავსებადია ერთმანეთთან. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეტრო გათვლილია სწრაფსა და მაღალი ინტენსივობის მგზავრთნაკადებზე, ხშირ გაჩერებებზე.

დიდუბეში ამის მოწყობა ადვილია, რადგანაც მიწის ზემოთაა მეტროს ხაზი. სამგორში სადგურის სიღრმეც არაა დიდი. შესაბამისად, საერთო პლატფორმის მოწყობა აქაც შესაძლებელია...

„ურბანული ლაბორატორიის“ რეკომენდაციით, თბილისი-რუსთავის ხაზი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუერთდეს მეტროს ხაზს, თუმცა მეტროს სადგურებთან (სამგორსა და დიდუბესთან) აუცილებლად უნდა ჰქონდეს საერთო პლატფორმები (ორი ხაზი, მაგრამ ერთი პლატფორმა), რათა მგზავრები იოლად გადასხდნენ მატარებლიდან მეტროს ვაგონში და პირიქით.

„დიდუბეში ამის მოწყობა ადვილია, რადგანაც მიწის ზემოთაა მეტროს ხაზი. სამგორში სადგურის სიღრმეც არაა დიდი. შესაბამისად, საერთო პლატფორმის მოწყობა აქაც შესაძლებელია“, – ამბობს გიორგი ბაბუნაშვილი, რომლის თქმითაც, ყველა უნდა შეეგუოს იმას, რომ პროექტი, განხორციელების შემთხვევაში, ვერ იქნება რენტაბელური:

„რენტაბელურობა გამორიცხულია, მაგრამ, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, საზოგადოება მიიღებს სხვა სახის სარგებელს: დაზოგავს დროს, იმგზავრებს უსაფრთხოდ, მიიღებს ნაკლებ სტრესს, კომფორტულად იმგზავრებს სამსახურში მისვლამდე, რაც აამაღლებს მის პროდუქტიულობას, შეამცირებს ნავთობპროდუქტების მოხმარებას, რითაც ნაკლებ ზიანს მიაყენებს გარემოს და სხვა“.

არაოფიციალური ინფორმაციით, ყოველდღიურად რუსთავიდან თბილისში და უკან 20 ათასამდე ადამიანი გადაადგილდება, მგზავრთა ამ ნაკადს კი ძირითადად სამარშრუტო მიკროავტობუსები (300-მდე) ემსახურებიან. მგზავრობა დაკავშირებულია დიდ დისკომფორტთან და, ხშირ შემთხვევაში, სასიკვდილო რისკთან.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

სანთელი

საქართველო ემშვიდობება ერის საყვარელ შვილს, ქართული კინოს ვარსკვლავს, სახალხო არტისტს, თბილისის საპატიო მოქალაქეს, ქალბატონ

ლეილა აბაშიძეს

საქართველოს კულტურის ფონდი და მისი პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი ლეილას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

მეუღლე ნარგიზა, შვილები ზვიადი, ალუდა, რძლები თეა, თეა, შვილიშვილები თამაზი, მარიამი, ნინი, ლიზი, შვილთაშვილი დანიელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ ტრიფონის ძე გუბელაძე

პანაშვიდი 12, 13 IV, გამოსვენება 14 IV, 14 სთ. ბინიდან ჭავჭავაძის პრ. №26.

ვიტალი ხაზარაძე, ნოდარ სანიკიძე, მალხაზ ლომიძე გულისტკივილით იუწყებიან მეგობრის, ღირსეული პიროვნების

თამაზ ტრიფონის ძე გუბელაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს.

ბუტა რობაქიძის მკვლელობის დროს გადაღებული ვიდეოჩანაწერი მონტაჟია

თბილისის საქალაქო სასამართლოში ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეზე შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებულების სასამართლო პროცესზე ვიდეოექსპერტმა განაცხადა, რომ ვიდეოჩანაწერი ერთმნიშვნელოვნად მონტაჟის წესითაა მიღებული.

ცნობისთვის, აღნიშნულ საქმეზე 6 პირი: გურამ დონაძე, ზაზა ბაქრაძე, ზურაბ მიქაძე, ლევან გვაზავა, ირაკლი ფირცხალავა და დავით იაშვილი არიან ბრალდებული.

ერთ-ერთი ბრალდებული, კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ზაზა ბაქრაძე, რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 28 თებერვალს დააკავეს, 30 მარტს, 5 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

„პიჯაკების საქმეზე“ სააკაშვილს ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარის გაფლანგვას ედავებიან

„აუდიტის სამსახურის თანამშრომლის ჩვენებით სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა და ის შეუსაბამო იყო საქართველოს კანონმდებლობასთან“,** – განაცხადა ე.წ. პიჯაკების საქმის პროკურორმა ქეთევან ჩაჩავამ.

გუშინდელ პროცესზე აუდიტის სამსახურის თანამშრომელი დაიკითხა.

„სასამართლო სხდომაზე დაიკითხა აუდიტის სამსახურის თანამშრომელი. შესწავლილ იქნა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის 2009-2013 წლის ხარჯების მიზნობრიობა. მისი დასკვნით სახელმწიფო სპეციალური დაცვის სამსახურის უფროსის თეიმურაზ ჯანაშიას და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ 9 მილიონ ლარზე მეტი ოდენობის თანხა არამიზნობრივადაა გაწეული.

მათ მიერ უკანონოდ, საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით ხდებოდა ხარჯების გაწევა პირადი კომფორტისათვის, ტრანსპორტის, სასტუმრო მომსახურების, სამგზავრო ბილეთებისთვის, რომელიც გაიწეოდა არა მხოლოდ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის პირადი კომფორტისათვის არამედ, მისი სტუმრებისათვის, ასევე სხვადასხვა ფიზიკური პირებისათვის. ჯამში აღნიშნული თანხა 9 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. ფინანსისტების დასკვნის თანახმად, ხარჯები საბიუჯეტო კოდექს არ შეესაბამებოდა“, – განაცხადა ჩაჩავამ.

ცნობისთვის: მიხეილ სააკაშვილსა და თეიმურაზ ჯანაშიას სახელმწიფო ბრალდება საბიუჯეტო თანხების დიდი ოდენობით ჯგუფურად გაფლანგვას ედავება.

◎ მოულოდნელი რაკურსით!

იბერიული ერთობა

ეს ბიჭები რომ ყოფილიყვნენ უცხოელები, ალბათ მთელი მსოფლიო გაიგებდა, რომ უცხოელებმა ქუთაისში ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია დაალაგეს! გარკვეული ხნის შემდგომ ადგნენ და ინფექციურ საავადმყოფოს ტერიტორიაც დაასუფთავეს, შემდეგ სხვა ქუჩებს გაუყვნენ და მათივე თანამემამულეების მიერ დაყრილი ნაგავი, საავარდო და სამაისო ქუთაისს რომ ამახინჯებდა, ახიკეს და ადგილი მიუჩინეს!

ასე ჩუმად, უბრალოდ...

მაგრამ ამ ბიჭებზე არც ერთი ტელევიზია არ ამოიღებს ხმას (ადგილობრივიც)...

არც ერთი გაზეთი არ დაწერს!

არც ფეისბუქზე დადებენ გვერდებს!

ამის მიზეზი მარტივია, ესენი ამსხვრევენ ტელევიზიების და ლიბერასტების შეკოწიწებულ სტერეოტიპებს, რომლის მიხედვითაც:

ქართველი მხოლოდ ანაგვიანებს,

ქართველი მხოლოდ ურტყამს,

ქართველი მხოლოდ ჩაგრავს!!!

ამ ბიჭების დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ ისინი უცხოელები არ არიან!

მაგრამ მათ უარესი დანაშაული აქვთ ამ სისტემის წინაშე, ისინი არც გეები არიან!

მეტიც, გვარში ფერადკანიანიც არ ყოლიათ ვინმე!

და ბოლოს ყველაზე საშინელი დანაშაული:

ისინი ქართველები არიან!

მარად იქართველეთ ბიჭებო!

ზვიად ბერეკაშვილი

ფრთხილად, მძღოლებო!

აკაკი წერეთლის გამზირზე სატვირთო ავტომობილიდან რამდენიმე ასეული ზეთის ბოთლი გადმოცვივდა. თვითმხილველის თქმით, სატვირთო მანქანა მოსახვევში სწრაფად შევიდა. არავინ დაშავებულა.

სისუფთავეზე ზრუნვა

ნაგვის პრობლემა ბევრ ქვეყანაში არსებობს, თუმცა კი ყველგან მას თავისებურად, ეროვნული ხასიათის თვისებებიდან გამომდინარე, უდგებიან.

მაგალითად, გერმანიაში ნაგავს ასე უბრალოდ, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ, ვერ გადააგდებთ. ყველაფერი, რის მოცილებაც მოგინდებათ, კატეგორიებით უნდა დაიყოს და სხვადასხვა პარკში ჩაიყაროს. ვთქვათ, იოგურტის ერთი ჭიქა სამ ნაწილად იყოფა — ესენია ქაღალდის ეტიკეტი, ვერცხლის ქაღალდის ხუფი და თავად პლასტიკის ჭიქა. თანაც კარგი იქნება, თუკი ვიდრე გადაგდებდეთ, ყველაფერი ეს გარეცხოთ!

საგულისხმო წვრილმანი ისაა, რომ როცა პლასტიკის ბოთლით წვენს ან წყალს ყიდულობთ, ბოთლის ფულს ცალკე იხდით, რომლის მერე ჩაბარება 25 ცენტად შეგიძლიათ. ასეთი ეკონომია სულაც არ არის სათაკილო, იქ ბოთლებს სავსებით შეძლებული ხალხიც კი აბარებს.

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ქუჩაში თავისი ძაღლის სკორს ყველა თავისით იღებს, პარკებში საგანგებო პაკეტებიანი ყუთები კიდია, რომლებშიც ცხოველის მოსაქმებულის ჩადება, ან ურნაში გადაგდებაა შესაძლებელი.

ჩემო ფისუნია...

კატა — დიდად დამოუკიდებელი, თავნება ცხოველია, თუკი პატრონი ხასიათზეა (და რაც მთავარია, თავადაც თუ „კარგ გუნებაზეა“), ეთამაშება, თუ არა და მაინც-დამაინც თავს არ შეაწყენს. ამის მიუხედავად, სახლში კატის ყოლა ადამიანისთვის დიდად სასარგებლოა.

შოტლანდიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კატის პატრონებში ინფარქტის საფრთხე 20 პროცენტით ნაკლებია, რის მიზეზი... ცხოველთა კრუტუნია. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ **კრუტუნის ბგერითი რხევები ბედნიერების ჰორმონის — სეროტონინის გამომუშავებას უწყობს ხელს და რაც უფრო ხშირად იკრუტუნებს ფისუნია, მით უფრო დამშვიდებული გექნებათ ნერვები და უკეთეს ხასიათზეც იქნებით.**

გარდა ამისა, კატებს უარყოფითი ენერგიის შთანთქმის უნიკალურ თვისებას მიაწერენ და სწორედ ამ თვისების გამო იყვნენ ისინი უწინ ხელმწიფეთა და ქურუმთა თანმხლებნი. მიჩნეული იყო, რომ ისინი ავ სულებსაც აფრთხობდნენ.

გასაცინებელი ა(მ)ბები

გამოსავალი

სტუმარმა დიდხანს ათვალიერა მენიუ რესტორანში და ბოლოს უხმო ოფიციანტს.

— საქმე ის არის, — ეუბნება იგი ოფიციანტს, — რომ მხოლოდ 20 ზლოტი მაქვს. რა შეიძლება რომ ვჭამო? რა ვქნა?

— სხვა რესტორანში მიბრძანდით სადმე.

ახალი მშენებლობა

ბინის დიასახლისი, რომელიც ახალი სახლის პირველ სართულზე იყო, ოთახში შევიდა და დაინახა, რომ ფანჯრიდან ვიღაც ტიპი მოძვრებოდა, შეშინებულმა ქალმა ქმარს გასძახა:

— მალე, მოდი! ფანჯრიდან ქურდი მოძვრება!

— სუუ! — ტუჩებზე თითი მიიდო ქმარმა! — არ შეაშინო, იქნებ მაგან შეძლოს და გაგვიღოს ეგ ფანჯარა, რომელსაც ჩვენ ვერ ვაღებთ შემოსახლების დღიდან.

იმედგაცრუება

პატარა ვაცეკი პირველად წავიდა სკოლაში.

— აბა, მიამბე, შვილო, რა გასწავლეს დღეს? — ეკითხება დედა.

— არც არაფერი, — ამოიოხრა ბიჭუნამ, — ხვალ ისევ მოდითო.

არითმეტიკა თუ ლოგიკა

არითმეტიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა მოწაფეს ჰკითხა:

— 20 კაცმა 3 საათში მთელი მინდორი გათიბა. რამდენ საათში გათიბავს 50 კაცი იმავე მინდორს? კარგად დაფიქრდი, სანამ მიპასუხებდე.

მოწაფე დაფიქრდა.

— თუ 20 კაცმა უკვე გათიბა მინდორი, — მიუგო მან, — 50 კაცი მეორედ როგორღა გათიბავს!..

საჩუქარი

დიასახლისმა დღესასწაულის წინ თავის შინამოსამსახურის დასაჩუქრება გადაწყვიტა.

— აიღე, მარიშა, ეს ჩემი შლაპა, მე მაინც აღარ ვიხურავ.

— რა კარგია, რა კარგია! — შესძახა გოგონამ, შეხტა და შეიკუნტრუშა. — ჩემი საქმრო სულ მეუბნება, რომ ეს შლაპა ძალიან მიხდება სახეზე.

ზღაპრის ვარიანტი

პატარა იასი მამას ეკითხება:

— მამა, დღეს სკოლაში მასწავლებელმა ზღაპარი წაგვიკითხა, რომელიც ასე იწყებოდა: „ერთ სამეფოში, ერთ დიდ სახელმწიფოში“... რატომ დაიწყო ასე?

— საქმე ის არის, იას, — უპასუხა მამამ, — ყველა ზღაპარი ასე იწყება.

— ყველა არა, — საქმეში ერევა დედა — ზოგიერთი ზღაპარი სხვაგვარად იწყება: „დღეს საღამოს ჩვენს დაწესებულებაში მნიშვნელოვანი თათბირია...“

იძულებული ვარ

მოსამართლე საქმეს გაეცნო და ბრალდებულს ეკითხება:

— ესე იგი, ერთ კვირაში შვიდი ბინა გატეხეთ?

— აბა, რა ვქნა, — თავს აქნევს ბრალდებული. — იძულებული ვარ, ყოველდღე ვიმუშაო, ჩემთვის უქმე დღეები არ არის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4037; ევრო - 2.9621;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4036;
100 რუბლი - 3.7977; თურქული ლირა - 0.5873;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4171;
1000 სომხური დრამი - 4.9869.

ამინდი 12 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +27
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +24
თბილისი: ღამე +10, დღე +25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge